 გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№122 (878) 20 - 21 ნოემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

SOS საფრთხე!

გვ. 8

რა დაავადებებს იწვევს გენმოდიფიცირებული პროდუქტი და ვინ შოულობს მილიონებს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარჯზე?

ექსკლუზიური ინტერვიუ დეკანოზ თეოდორე გიგნაძესთან



„ვინც პარლამენტში სასულიერო პირების ფრაქციის შექმნაზე საუბრობს, ქრისტიანობაზე წარმოდგენა არ აქვს!“

გვ. 3

სამართალი

მართლმსაჯულების მუზეუმი უზენაეს სასამართლოში

გვ. 9

რაფომ დაინიშნა გიორგი ვოლსკი ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტზე?

გვ. 4

ირაკლი ღარიბაშვილი

„თქვენი დემოკრატია იყო ფასადური, სიყალბესა და სიცრუეზე დაფუძნებული იმიტომ, რომ გეშინოდათ თქვენი ლიდერის!“

გვ. 2

ლიბერთი ბანკისა და Smartex ჯგუფის ორგანიზებით „Startup Weekend თბილისი“ ჩატარდა

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

გვ. 2

მთავრობის დადგენილება, რომლითაც 40-ზე მეტ ინვესტორს 2 800 000 ლარის შეუსრულებელი ვალდებულება აპატიეს!

გვ. 5

რკინიგზელთა გაფიცვის ქრონიკა

გვ. 6

ვინ ებრძვის პროფკავშირებს საქართველოში?

ქართველი მეცნიერის აღმოჩენა, რომელიც მოსავალს აორმაგებს!

ახლა გამოჩნდება, სოფლის მეურნეობა მართლა პრიორიტეტს წარმოადგენს, თუ მასზე საკაშვილივით ბრუნავენ

გვ. 7

ირაკლი ღარიბაშვილი: „თქვენი დემოკრატია იყო ფასადური, სიყალბესა და სიცრუეზე დაფუძნებული იმიტომ, რომ გეშინოდათ თქვენი ლიდერის!“

პარლამენტში ახალი მთავრობის საკომიტეტო მოსმენები დაიწყო. საინტერესო და ცხარე დებატები, როგორც მოსალოდნელი იყო, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის, ირაკლი ღარიბაშვილის უმცირესობასთან შეხვედრაზე გაიმართა. ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მთავრობის დამტკიცებაში არ მონაწილეობს, საკომიტეტო მოსმენებზე აქტიურობდა და, ფაქტობრივად, ყველა ის კითხვა დაუსვა ირაკლი ღარიბაშვილს, რომელსაც პრესაში, სოციალურ ქსელებსა თუ სატელევიზიო კომენტარებში ვისმენთ — ნეპოტიზმითა და დანაშაულის სტატისტიკით დაწყებული, ეკონომიკური კრიზისითა და რუსეთთან ურთიერთობით დამთავრებული, თუმცა ირაკლი ღარიბაშვილს თავდაცვის საუკეთესო საშუალება ჰქონდა არჩეული — იუმორი და, სხვა შეხვედრებისგან განსხვავებით, მთელი მოსმენის მანძილზე ხუმრობდა.. სარკაზმისა და იუმორის ფონზე, საზოგადოებას ირმა ნადირაშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის დიალოგი დაამახსოვრდა „ბაში-აჩუკის“ მოტივებზე — როგორც პრემიერმა აცნობა, დეპუტატი ნადირაშვილი თურმე მისი ნათესავი ყოფილა და შესთავაზა, ნეპოტიზმის თავიდან ასაცილებლად, რომელიმეს დაეტოვებინა პარლამენტი. ირმა ნადირაშვილმაც, თუ ნათესავი ვარ, ბარემ შს მინისტრის პოსტი შემომთავაზეო... მაგრამ აშკარად დაავიწყდა, ირაკლი ღარიბაშვილმა, წინა შეხვედრაზე „ფინთი ნათესავების“ ინსტიტუტი რომ დააანონსა და მომავალმა პრემიერმა უპასუხა — ლექსო შენზე ახლო ნათესავია და უარს ვერ ვეტყვიო...

მოკლედ, ამ ხუმრობა-ხუმრობაში, რამდენიმე სერიოზული განცხადებაც გაკეთდა, კერძოდ, **„შესასწავლი იქნება საკუთრების უფლების ტოტალური დარღვევის შედეგად შექმნილი ვითარება და დაისახება მისი გამოსწორების გზები. ასევე შესწავლილი იქნება საქართველოში ბოლო წლებში გავრცელებული ელიტური კორუფციის მასშტაბები და მექანიზმები და დაისახება მისი აღმოფხვრის გზები. მთავრობის პოლიტიკა დაეფუძნება საქართველოს მოსახლეობის მიერ მკაფიოდ გამოხატულ ინტერესებს, მოქალაქეთა ჩართულობა იქნება სამთავრობო დაგეგმვისა და რეალიზაციის უმთავრესი საფუძველი“.**

ღარიბაშვილმა პარლამენტში პირობა დადო, რომ ხურჩის ინციდენტის დამკვეთები დადგენილნი და დასჯილნი იქნებიან: **„გაერო-ს დასკვნაში აღნიშნულია, რომ ინციდენტი მომზადებული იყო წინასწარ და იყო პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოყენებული, რაც ინციდენტის ინსცენირების ეჭვს ბადებდა... გამოძიებამ დაადგინა, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, შსს-ს მაღალჩინოსნების მონაწილეობით, განხორციელდა ე.წ. ტერორისტული აქტი საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ. გრძელდება გამოძიება და საბოლოო ვერდიქტს სასამართლო გამოიტანს“.**

პრემიერობის კანდიდატმა შსს-დან გათავისუფლებულებზეც ისაუბრა და განაცხადა: **„თქვენ წარმოადგენდით წინა ხელისუფლებას, რომელმაც დააპატიმრა ჩემი ოჯახის წევრი. უკანონოდ, ერთი წლის განმავლობაში ამყოფა ციხეში. თქვენ მსგავსად გაასამართლეთ 300 ათასი ადამიანი, თქვენი რეჟიმი იყო ნეოფაშისტური წარმონაქმნი... როდესაც საუბრობთ, რომ შევარდნაძისდროინდელი პოლიციელები სამსახურიდან არ გავუშვით, სირცხვილია. რეალურად, რაც მე მაქვს საამაყო, ჩემი თანამშრომლებია და მადლობა მათ. რაც შეეხება სამსახურიდან ხალხის გათავისუფლებას, ვინც ღირსი იყო, ყველა გავათავისუფლე“.**

ოპოზიციის, კერძოდ, დავით საყვარელიძის ბრალდება შს ახალ მინისტრსაც შეეხო, რაზეც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ 2011 წლის 26 მაისს შს მინისტრობის კანდიდატი ალექსანდრე ჭიკაიძე რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა, თუმცა დამრბევი არ ყოფილა: **„ლექსო მაშინ მუშაობდა სამინისტროში. ის 26 მაისს ასრულებდა თავის მოვალეობას — ეს ლექსოსაც არ დაუმალავს, თუმცა არ იყო დამარბეველი. ასე რომ, ვერ გავიგე თქვენი კითხვის არსი, ლექსოს მიმართ რა კითხვა არსებობს, არ მესმის. ჩვენ ვისაც ბრალი წარვუდგინეთ, ესაა ვანო მერაბიშვილი. გამოძიებას კითხვები აქვს არა დარბევაში მონაწილე პოლიციელების მიმართ, არამედ ბრძანების გამცემთა მიმართ“.**

საპარლამენტო მოსმენაზე ყველაზე ცხარე კამათი ირაკლი ღარიბაშვილს გიორგი ბარამიძესთან მოუწია, რომელიც პრემიერობის კანდიდატის იუმორმა და საუბრის ტონმა გააღიზიანა: **„თქვენ რა გგონიათ, ვისთან მოხვედით. თქვენ რა გგონიათ, როგორ საუბრობთ. ძალიან გთხოვთ, თავი შეიკავეთ და წესიერად ისაუბრეთ, რადგან ტყუილებს ლაპარაკობთ თქვენ და მთელი თქვენი გუნდი. მთავარი ტყუილია, რომ ჩვენ ვითომ ქვეყანა დავანგრიეთ. ეს არის უნამუსო ტყუილი, თავი შეიკავეთ!“** — უთხრა ბარამიძემ ღარიბაშვილს, რომელმაც თავის მხრივ, ოპონენტებს უპასუხა: **„მეც მაქვს ერთი კითხვა თქვენთან: რამდენჯერ მიგიციათ შენიშვნა თქვენი პრეზიდენტისთვის, როდესაც ის წარმოუდგენელი სიძულვილის ენით საუბრობდა? 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მთავარი მიღწევა ის არის, რომ ადამიანებმა თავი იგრძნეს თავისუფლად... ეს არის რეალური დემოკრატია. თქვენი დემოკრატია იყო ფასადური, სიყალბესა და სიცრუეზე დაფუძნებული. გინდათ გითხრათ, რატომ იყო ასეთი? იმიტომ, რომ გეშინოდათ! გეშინოდათ თქვენი ლიდერის, შენიშვნების მიცემის! იცით, რატომ? იმიტომ, რომ ციხე იყო საშინელი, იქ ხალხს აუპატიურებდნენ ცოცხებით, დუბინკებით“.**

შეხვედრის დასასრულს, ირაკლი ღარიბაშვილმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ საპარლამენტო უმცირესობა რიტორიკას არ ცვლის: **„მინდა შეგახსენოთ, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს აქვს სურვილი და ჩვენი გრძელვადიანი გეგმაც ასეთი უნდა იყოს, რომ საზოგადოება არ დაიყოს ჩვენიანებად და სხვისიანებად. ბატონ ბიძინას სურდა საზოგადოების გამთლიანება და მან ეს შეძლო, მაგრამ ეს ადამიანები, ვგულისხმობ საპარლამენტო უმცირესობას, გვაჩვენებენ, რომ მათ არ სურთ მონაწილეობა ჯანსაღ პროცესში. მიუხედავად ჩვენი მრავალგზის მოწოდებისა, ისინი გამხდარიყვნენ კონსტრუქციულები და ჯანსაღი ოპონირება გაეწიათ ჩვენთვის, სამწუხაროდ და საუბედუროდ, მათ ეს რიტორიკა არ შეიცვალეს“.**

ახალ მთავრობასა და პრემიერ-მინისტრს პარლამენტი, 20 ნოემბერს, პარლამენტის სხდომაზე დაამტკიცებს.

„ვერსიანიუსი“

ლიბერთი ბანკისა და Smartex ჯგუფის ორგანიზებით „Startup Weekend თბილისი“ ჩატარდა

Startup Weekend - მსოფლიოში ცნობილი და პოპულარული ღონისძიებაა, რომელზეც IT დეველოპერები, დიზაინერები, პროდუქტ მენეჯერები და დამწყები ენთუზიასტები წარმოადგენენ საკუთარ ბიზნესიდეებს, ქმნიან გუნდს, იღებენ რჩევებს გამოცდილი მენეჯერებისგან და ეძლევათ შანსი, დაიწყონ საკუთარი ბიზნესი. გლობალური პროექტის ფარგლებში უკვე დაარსდა 4300-მდე ახალი ბიზნესი. ჩატარდა 400-ზე მეტი ღონისძიება, რომლებზე დამსწრეთა რაოდენობამაც 40 000-ს გადააჭარბა. Startup Weekend უკვე 200-ზე მეტ ქალაქში გაიმართა მთელ მსოფლიოში. აღნიშნული ქალაქების რიგს თბილისი პირველად შეუერთდა.

პროექტის მონაწილე გუნდებმა, რომლებიც საკუთარი ბიზნესიდეების სრულყოფისთვის თავისუფალ უნივერსიტეტში (დიღმის საუნივერსიტეტო კამპუსში) 54 საათის განმავლობაში მუშაობდნენ, შერჩევის პირველი ეტაპი გაიარეს და საბოლოოდ, დაახლოებით 30 გუნდიდან ჟიურიმ 10 საუკეთესო შეარჩია.

ფინალურ ეტაპზე კი გამოვლინდა 2 გამარჯვებული:

მეორე ადგილზე გავიდა გუნდი, საკმაოდ საინტერესო პროექტით რესტორნების დაჯავშნისა და მიტანის სერვისის შესახებ, ხოლო პირველი ადგილი დაიკავა გუნდმა 1 პროექტით HiddenSeek — მეგობრების სხვადასხვა ღონისძიებებზე ანონიმური დაპატიჟების აპლიკაცია.

ჟიურის შემადგენლობა ასეთი გახლდათ: ლადო გურგენიძე (ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და Smartex-ის მთავარი აქციონერი), სანდრო რთველაძე (ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე), გიორგი ახალაია (USAID, Economic Prosperity Association), ქეთევან ბოჭორიშვილი (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე), თეა ჯოხაძე (თანაინვესტირების ფონდის ფინანსური დირექტორი) და რუსლან ხოროშვილი (Ernst & Young-ის მმართველი პარტნიორი საქართველოში)

როგორც ლადო გურგენიძემ განაცხადა, ფინალში გასული პროექტების უმრავლესობა ინვესტორებისთვის საინტერესოა, შესაბამისად, Smartex მონაწილეებთან მუშაობას უახლოეს დღეებში გააგრძელებს.

პირველ ადგილზე გასული გუნდის ყველა წევრს ლიბერთი ბანკისა და Smartex ჯგუფისგან საჩუქრად iPad Air გადაეცა. ორივე გამარჯვებული გუნდი მიიღებს შანსს, გლობალურ Startup Battle-ზე წარადგინოს საკუთარი იდეა. იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაიმსახურებენ გლობალური Startup Battle-ის ჟიურის სიმპათიას და მათი პროექტი გაიმარჯვებს, გამარჯვებული გუნდი მიიღებს სოლიდურ დაფინანსებას და საჩუქრებს Global Startup Battle-ის ორგანიზატორებისგან.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ Smartex აგრძელებს პირველ ქართულ Crowdfunding ექსპერიმენტს. Startup Weekend Tbilisi-ს პარალელურად, დაფუძნდა სპეციალური კომპანია, რომელიც ნებისმიერ მსურველს აძლევს საშუალებას, თავად გახდეს ამა თუ იმ პროექტის აქციონერი. სწორედ ამ კომპანიიდან განხორციელდება ინვესტიცია Startup Weekend Tbilisi-ს მონაწილე პროექტებში, Smartex კი ამ კომპანიის მმართველის როლს შეასრულებს. Smartex-ის მთავარმა აქციონერმა ლადო გურგენიძემ და პროექტის რამდენიმე მონაწილემ უკვე მიმართა თანხა აღნიშნულ კომპანიაში. ინვესტირების მსურველთა განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 31 დეკემბერი. დეტალური ინფორმაცია Smartex-ის პირველი ქართული Crowdfunding ექსპერიმენტის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: http://smartex.ge/crowdfunding

„ვინც პარლამენტში სასულიერო პირების ფრაქციის შექმნაზე საუბრობს, ქრისტიანობაზე წარმოდგენა არ აქვს!“

ირუსუდან შელია
557-100-768

უნდა ერეოდეს თუ არა პოლიტიკურ პროცესებში სამღვდელოება და რამდენად გამართლებულია პარლამენტში სასულიერო პირთა ფრაქციის შექმნა, რა როლი შეასრულა საქართველოს ეკლესიამ ხელისუფლების ცვლილებაში და რატომ ვერ გათავისუფლდა ეკლესია სრულად საბჭოთა კავშირის გავლენისგან, „ვერსიას“ ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე ესაუბრა.



ექსკლუზიური ინტერვიუ დეკანოზ თეოდორე გიგნაძესთან

— პარლამენტში ჯდომა და სახელმწიფო პოლიტიკის წარმოება მღვდლის საქმე არ არის. ამისთვის ვერც ერთ სასულიერო პირს ვერ გავიმეტებ. თანაც სასულიერო პირების მოვალეობა ადამიანების ქრისტესთან მიყვანაა, რადგან ჩვენ ქრისტეს მოციქულები ვართ. წარმოუდგენელი ფაქტი იქნებოდა, პეტრე და პავლე მოციქულები რომის სენატში პოლიტიკურ დებატებში რომ ეხილათ. ასე რომ, არ მინდა, ვინმეს კონკრეტულად შევეხო, მაგრამ ვინც პარლამენტში სასულიერო პირთა ფრაქციის შექმნაზე საუბრობს, ქრისტიანობაზე წარმოდგენა არ აქვს.

— შეგახსენებთ, ამ ფრაქციის შექმნის ინიციატივა სწორედ სასულიერო პირებს ეკუთვნის.

— შესაძლოა, მათი ნაწილი ამ საკითხს ისტორიულ ჭრილში განიხილავს და გიორგი ჭყონდიდელი ახსენდება, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ მაშინ პოლიტიკური მდგომარეობაც განსაკუთრებული იყო. ხელისუფლების სათავეში იდგა წმინდანი, დავით აღმაშენებელი, რომელმაც „გალობანი სინანულისანი“ დაწერა. შესაბამისად, გიორგი ჭყონდიდელის მაგალითი არ გამოგვადგება, რადგან დავითი არ გვყავს და, სამწუხაროდ, ალბათ, ვერც გვეყოლება.

— სასულიერო პირისგან პოლიტიკური პარტიის წყევლაც მოვისმინეთ. სად გადის ზღვარი მოძღვრის პოლიტიკურ ინტერესსა და სასულიერო მოღვაწეობას შორის?

— ზღვარი სინდისზე გადის! თუ სასულიერო პირი ხელისუფლების გადაწყვეტილებას ზნეობრივი კუთხით აფასებს, ეს უშუალოდ, მის ვალდებულებაში შედის და პოლიტიკაში ჩარევას სულაც არ გულისხმობს. შეუძლებელია, სასულიერო პირმა ხელისუფლების ან კანონშემოქმედებითი ორგანოს მხრიდან უზნეობის პროპაგანდაზე თვალი დახუჭოს.

შესაძლოა, გარკვეული პოლიტიკური დაჯგუფების მიმართ სიმპათიები გამაჩნია და ამაზე ახლობლების ვიწრო წრეში ვსაუბრობ კიდეც, მაგრამ როგორც მღვდელი, პოლიტიკურ პოზიციას საჯაროდ არ გავახმოვანებ. რაც შეეხება წყევლას, მსგავსი ფენომენი ეკლესიაში არ არსებობს. ეკლესიის სწავლება და ქრისტიანული დოქტრინა ასეთ ფენომენს არ იცნობს. შესაძლოა, ერთი კონკრეტული მღვდელი გაბრაზდეს და უცნობი ადამიანი სცემოს, შეაგინოს კიდეც, მაგრამ ამას ეკლესიასთან კავშირი არ აქვს.

— ცალკეული მაგალითები საზოგადოებაში ეკლესიის იმიჯზე არ მოქმედებს?

— რა თქმა უნდა, არა, რადგან ერთი პედაგოგის უზნეო საქციელი სრულიად განათლების სისტემასთან არ ასოცირდება. დღეს თითოეული მღვდელი ვალდებულია, მის სიტყვას მისიონერული დატვირთვა ჰქონდეს, თუმცა, სამწუხაროდ, გამონაკლისებიც არსებობს, რომლებსაც ეს ნაკლებად ესმით.

— ვინც სასულიერო პირის პასუხისმგებლობა სრულად ვერ გაიაზრა, რატომ ინარჩუნებს ამ სტატუსს?

— ამაზე საუბარი ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

ისე, მღვდლადკურთხევის კომისია არსებობს, რომელიც ვალდებულია, სამღვდელო საქმეზე წარმოდგენილი კანდიდატებიდან ღირსეული შეარჩიოს. თუმცა არ არსებობს ოფიციალური ფილტრი, რომელიც ხარვეზების გაპარვას სრულად უზრუნველყოფს, არსებობს საეკლესიო სასამართლოც, რომელიც მსგავს გადაცდომებზე რეაგირებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში, 70 წლის განმავლობაში ეკლესიის ინსტიტუციური მხარე დაზიანებული იყო.

მაშინ ღირსეული ადამიანი მღვდელი ვერ გახდებოდა ან 50 შემთხვევიდან, შესაძლოა, 2-3 სასულიერო პირი კეთილსინდისიერი აღმოჩენილიყო. დღეს სწორედ ამის შედეგებს ვიმკით.

— ანუ ეკლესია საბჭოთა კავშირისდროინდელი აგენტურისგან სრულად დღემდე ვერ გათავისუფლდა?

— ძალიან ცოტა დრო გავიდა — ეკლესიას 70 წლის განმავლობაში ანგრევდნენ, ამიტომ მისი სრული აღდგენა 20 წელიწადში შეუძლებელია.

— ახლო წარსულში სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის საქმიანობაში ჩარევის მცდელობა არ ყოფილა, მაგალითად, წინა ხელისუფლების პირობებში, მამა ლუკას (კოკორაშვილი) განცხადებით, კუდ-მა და სოდ-მა ის ვერ გააააგენტა?!

— რა თქმა უნდა, წინა ხელისუფლებისგან მსგავსი მცდელობა იყო — უმეტეს შემთხვევაში, ამას ვერ ახერხებდნენ, ზოგჯერ კი საწადელს აღწევდნენ, თუმცა არგუმენტირებულად ამაზე საუბარი მიჭირს, რადგან პირადად მე, პროცესებში ჩართული არასოდეს ვყოფილვარ. როგორც მღვდელი მოურიდებლად ვიტყვი, რომ წინა ხელისუფლების დამხობის საფუძველი ეკლესიისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულება გახდა. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ამიტომ უფლის სახლის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება არავის შერჩება. წინა ხელისუფლებას სურდა, ეკლესიის ინსტიტუციაში ჩარეულიყო, თუმცა როცა ამას ვერ ახერხებდა, უკვირდათ, რატომ ვერ ვერევითო. სინამდვილეში, მათ ავიწყდებოდათ, რომ ეკლესია ქრისტეს სხეულია. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ძალაუფლების ნებისმიერი ფორმით შენარჩუნება სურდა, ხალხის აზვირთებულმა ტალღამ უთხრა — აღარ გვინდიხარ, წადი!

— ხალხის ტალღის აზვირთებაში ეკლესიამ რა როლი შეასრულა?

— მრევლის უდიდესი ნაწილი დაგიდასტურებთ, რომ წინა ხელისუფლება ქართველ ხალხს უზნეობისკენ უბიძგებდა.

პირადად მე, ყოფილ მაღალჩინოსნებს შორის ბევრი ნაცნობი მყავს და ზოგიერთი მათგანი ჩვენი ეკლესიის მრევლიც ყოფილა, შესაბამისად, ჩვენი ურთიერთობა ადამიანურ დონეზე ყოველთვის ნორმალური იყო, მაგრამ გლობალურად სახელმწიფოს მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულება ჰქონდათ. რაც დღეს ვარდების მოედანზე ხდება, სადაც სტრიპტიზკლუბები და გეიკლუბები მასობრივადაა გახსნილი, სწორედ წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი უზნეობის მონსტრია.

აღარ ვსაუბრობ იმაზე, რომ მცირე ბიზნესის მფლობელი პირები რეპრესიებს განიცდიდნენ. შესაძლოა, ამ ფაქტებიდან გამომდინარე საეკლესიო პირებს უარყოფითი დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, მართლაც, ჰქონდათ და ღიადაც ამბობდნენ, რომ უზნეობისა და ურჯულოების ქვეყანაში გაბატონება არ სურდათ.

— ანუ გამონაკლის შემთხვევებში სასულიერო პირისგან პოლიტიკური შეფასებები დასაშვებია... საინტერესოა თქვენი დამოკიდებულება ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ.

— თუ დავინახე, რომ ჩემი მეზობლის ოჯახში უცხო პირი შევიდა და ავიწროებს, ხმა არ ამოვიღო? თუ მღვდელი ცდება გარკვეული საკითხების შეფასებისას, ის ღვთის წინაშეა პასუხისმგებელი. მიუხედავად ამისა, უპირატესობას არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ვანიჭებდი, რადგან ამის უფლება სასულიერო პირებს არ გვაქვს. პატრიარქიც პირად დამოკიდებულებას არასოდეს გამოხატავს და მრევლს მხოლოდ იმ პოლიტიკური ძალის არჩევას მოუწოდებს, რომელიც საქართველოს ინტერესებს დაიცავს. ამჟამინდელი ხელისუფლების უზნეობაზე ვერ ვისაუბრე, რადგან ამის მაგალითები ჯერჯერობით არ გვაქვს.

დასასრული მე-4 გვერდზე

ალექსი პეტრიაშვილმა ვილნიუსის სამიტზე საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა დაასახელა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, ალექსი პეტრიაშვილმა ვილნიუსის სამიტზე გასამგზავრებელი დელეგაციის შემადგენლობა დაასახელა. მისი ინფორმაციით, ვილნიუსის სამიტზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი იქნება.

დელეგაციაში იქნებიან ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე.

ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, დელეგაციაში ასევე იქნებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი წარმომადგენლები. საქართველოს დელეგაცია ვილნიუსის სამიტზე ერთი პლუს ორი, პლუს ხუთი ფორმატით წარსდგება. ვილნიუსის სამიტი 28-29 ნოემბერს გაიმართება.

ინტერპრესნიუსი“

შეწყალების კომისიის შემადგენლობა შეიცვლება

შეწყალების კომისიის შემადგენლობა შეიცვლება, — აცხადებს კომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე და დასძენს, რომ სურვილი აქვს, კომისიაში დარჩეს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ კომისიის თავმჯდომარედ აღარ იმუშაოს. თევდორაძის თქმით, ჯერჯერობით, ახალ პრეზიდენტს შეწყალების კომისიასთან დაკავშირებით დებულება არ შეუმუშავებია, რის გამოც 23 ნოემბერს — გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, პატიმართა შეწყალება არ მოხდება. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეწყალების მთხოვნელთა განცხადებები მაინც შედის და ამ დრომდე, 200-მდე პატიმრის განცხადებაა შესული.

„შესაძლოა, ახალმა პრეზიდენტმა თქვას, ეს ყველაფერი არ მაინტერესებს, ვიწყებ ახალი ფურცლიდანო, რადგან ყველა განცხადება დაწერილია სააკაშვილის სახელზე. დარწმუნებული ვარ, შეწყალების კომისიის შემადგენლობა შეიცვლება, არ ვიცი, დავრჩები თუ არა მე, რადგან შეიცვლება, ამაში ეჭვი არ მეპარება, იმიტომ, რომ კომისიის შემადგენლობაში ძირითადად იყვნენ სააკაშვილის მრჩევლები, მათ შორის ვან ბაიბურთი, გიორგი გოდაბრელიძე, ნინო კალანდაძე, ანჯაფარიძე და ასე შემდეგ“, — განაცხადა ელენე თევდორაძემ და განმარტა, რომ კომისიაში არიან პირები, რომლებიც 2005 წლიდან მუშაობენ, მათ შორის: ლაშა ბუღაძე, მამუკა ფაჩუაშვილი და ა.შ.

ახალმა პრეზიდენტმა ახალი დებულება უნდა შეიმუშაოს, სადაც დამატებით იქნება შეტანილი კომისიის შემადგენლობაც. აქამდე არსებული დებულებით, წელიწადში სავალდებულო იყო 2 სხდომის ჩატარება. კომისიაში აცხადებენ, რომ გამორიცხული არ არის, გიორგი მარგველაშვილმა ის პატიმრები, რომლებსაც განცხადება უკვე შეტანილი აქვთ, ახალი კომისიის ფორმირების შემდეგ საახალწლოდ შეიწყალოს.

„ინტერპრესნიუსი“

„ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ უფრო მობილიზებულები ვიქნებით!“

ეროვნულ ფელია
557-100-768

პარლამენტში ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტზე ზაქარია ქუცნაშვილი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ვოლსკიმ შეცვალა. ცვლილებები იგეგმება პარტიის პოლიტსაბჭოშიც, სადაც წევრთა რაოდენობა 21-დან 12-მდე შემცირდება. პარტიასა და მთავრობაში მიმდინარე საკადრო გადაადგილებებზე „ვერსიას“ გიორგი ვოლსკი ესაუბრა.

რატომ დაინიშნა გიორგი ვოლსკი ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტზე?

— ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ გადაწყდა, რომ ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“, ძირითადად, საერთაშორისო მიმართულებით უნდა იმუშაოს, თავმჯდომარის პოსტზე ჩემი კანდიდატურაც სწორედ ამ მოცემულობის გათვალისწინებით შეირჩა. შესაძლოა, მომავალში, გუნდში სხვა ძირითადი აქცენტები გამოიკვეთოს და ფრაქციის თავმჯდომარეც შეიცვალოს, ამიტომ საკადრო გადაადგილებები მეორეხარისხოვან საკითხად მიმაჩნია.

— ითქვა, რომ ზაქარია ქუცნაშვილი პოლიტიკურ ამბიციებს შეეწირა — საპროცედურო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა და ფრაქციის თავმჯდომარის პოსტის შენარჩუნება მოითხოვა, რაც ბიძინა ივანიშვილმა არ აპატია და ფრაქციის თავმჯდომარედ თქვენი დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო.

— ზაქარია ქუცნაშვილის მიმართ გუნდის წევრებს პრეტენზია არ აქვთ. ჩემი კანდიდატურა, როგორც პარტიის ლიდერმა, მართლაც, ბიძინა ივანიშვილმა წამოაყენა, თუმცა ფრაქციის თავმჯდომარის ცვლილება ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგი არ არის. გუნდმა ჩათვალა, რომ ამ ეტაპზე, ფრაქციის თავმჯდომარედ ჩემი კანდიდატურა დიპლომატიურ საქმეში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით უფრო მისაღები იქნება.

— კოალიციაში კიდევ ერთი ცვლილება იგეგმება: პოლიტსაბჭოს წევრთა რაოდენობა 21-დან 12-მდე მცირდება. რატომ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში და არ ფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში პოლიტსაბჭო ნაკლებად წარმომადგენლობითი იქნება?

— პირიქით, რაოდენობის შემცირების შემდეგ, პოლიტსაბჭო ბევრად მობილური და მოქნილი იქნება; თანაც დემოკრატია რაოდენობრივად კი არა, მიღებული შედეგით განისაზღვრება. მთავარი „ქართული ოცნების“ პრინციპებია, ხოლო პოლიტსაბჭოში 26 კაცი იქნება თუ სამი, ნაკლებად მნიშვნელოვანია. რაც შეეხება მიზეზებს, ხშირად საბჭო სრული შემადგენლობით შეკრებას ვერ ახერხებდა.

— ვინ დარჩება პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში და გახდება თუ არა ეს გადაწყვეტილება გუნდში დაპირისპირების გაღვივების წინაპირობა?

— პოლიტსაბჭოს საბოლოო შემადგენლობა 24 ნოემბერს გაცხადდება. დაპირისპირებასა და პიროვნულ წყენას კი გამოვრიცხავ, რადგან გადაწყვეტილებას აბსოლუტურად სამართლიანად მივიღებთ.

— სამაგიეროდ, მომავალი მინისტრთა კაბინეტი პარლამენტს უცვლელად წარედგინა. არადა, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ხადური, ყიფიანი და ალასანია პოსტებს დატოვებდნენ...

— მსგავსი თემების აგორება ოპონენტების პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდია. როცა ეკონომიკურ გუნდზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რა მემკვიდრეობა მიიღეს წინა ხელისუფლებისგან. პირიქით, მათ მადლობაც კი უნდა გადავუხადოთ იმისთვის, რომ განსაკუთრებით სოციალური მიმართულებით არც ერთი პროგრამა არ ჩავარდნილა. ირაკლი ალასანიაც თავის საქმის პროფესიონალია და თავდაცვის უწყებას წარმატებით ხელმძღვანელობს. იმედი მაქვს, შინაგან საქმეთა ახალი მინისტრიც იმ კალაპოტში ჩადგება, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ თავიდანვე გაკვალა.

— ცვლილებების აუცილებლობაზე უმრავლესობის ლიდერმა, დავით საგანელიძემაც ისაუბრა და განაცხადა, რომ რამდენიმე მინისტრთან შენიშვნებიც აქვს, რადგან ერთი წლის განმავლობაში ნაკლებად ეფექტურად და ხარისხიანად იმუშავეს....

— ერთმანეთის მიმართ დითირამბების მიძღვნა ის პოლიტიკური სტილია, რომელსაც ჩვენი გუნდი ივიწყებს. რა თქმა უნდა, არის საკითხები, რომელზეც შეიძლება ვიკამათოთ, მაგრამ ეს ჯანსაღი პროცესია და არ მესმის, რატომ ვხედავთ ამაში ტრაგედიას. სახელმწიფოში როგორც პოლიტიკური, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით, რევოლუციური ცვლილებები ხორციელდება, ამიტომ ქვეყნისთვის საკმაოდ მძიმე პირობებში, მინისტრებმა დამაკმაყოფილებლად იმუშავეს. დავით საგანელიძის განცხადების შესახებ არაფერი ვიცი, თუმცა პირადად მიმაჩნია, რომ მინისტრთა კაბინეტი ოპტიმალურად შეირჩა და მათი შეცვლის წინაპირობა არ არსებობდა. საბედნიეროდ, უკვე გვყავს ისეთი პრეზიდენტი, რომელიც თითოეული ადამიანის ჭირ-ვარამის გამზიარებელი იქნება.

— მიუხედავად იმისა, რომ მარგველაშვილს ქვეყნის მართვის უფლებები პარლამენტმა მაქსიმალურად შეუზღუდა და პრეზიდენტი ქვეყნის ვერც საშინაო და ვერც საგარეო კურსის განსაზღვრას შეძლებს?

— შეზღუდული უფლებების მიუხედავად, გიორგი მარგველაშვილს იმის ბერკეტი გააჩნია, რომ სამართლიანობის მხარეს დადგეს. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი პარლამენტის გადაწყვეტილებას ვეტოს ვეღარ დაადებს, კოალიციისთვის გიორგი მარგველაშვილის პოზიციას თავისი წონა ექნება. ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტი ქვეყანას წარმოადგენს და თითოეულ შეხვედრაზე საქართველოს სახელით ისაუბრებს. ბუნებრივია, პრეზიდენტის განცხადებები მთავრობასთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს და, დარწმუნებული ვარ, ამის პრობლემა ჩვენს შორის არც იქნება. თუმცა გიორგი მარგველაშვილს განსხვავებული პოზიციის დაფიქსირებას არავინ დაუშლის. მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე დღეში პრეზიდენტი წარსდგება ვილნიუსის სამიტზე, რომლის მიმართაც უზარმაზარი მოლოდინი არსებობს.

— მოლოდინის პარალელურად, ევროკავშირის ასოცირებაზე ხელმოწერის საკითხი ოპონენტებისთვის სულ უფრო საეჭვო ხდება.

— ამ მიმართულებით საეჭვო აღარაფერია, რადგან ასოცირების პარაფირება უკვე ევროკავშირის წევრობის რეალურ კანდიდატობას ნიშნავს. პარალელურად, აუცილებელია, საქართველო ეკონომიკურადაც განვითარდეს, რაც მოგვცემს საშუალებას, რაღაც ეტაპზე ევროკავშირისთვის მისაღები სახელმწიფო გავხდეთ. პოზიტიურია ის ფაქტიც, რომ ევროკავშირის კომისია, რომელიც საქართველოს გაწევრიანების საკითხზე მუშაობს ვილნიუსის სამიტის შემდეგ კი არ იშლება, საქართველოსთან თანამშრომლობას აგრძელებს. ესკიდევ უფრო ამყარებს მოლოდინს, რომ ხელმოწერის ვადა დროში მაქსიმალურად შემცირდება.

— თუმცა მანამდე ქვეყნის შიდაპოლიტიკური რეალობაც იცვლება: 24 ნოემბერს კოალიციის გავლენიანი ლიდერი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის. საკადრო ცვლილებებისა და გუნდში შესაძლო დაპირისპირების შესახებ ინფორმაციის აქტუალობის ფონზე, რა ფაქტორი გახდება კოალიციის ერთიანობის გარანტი?

— კოალიციას არაფერი ემუქრება და ვერც მომავალში დაემუქრება. ჩვენს შორის, საქმიანი ურთიერთობების გარდა, საკმაოდ თბილი პიროვნული დამოკიდებულებაც ჩამოყალიბდა. წმინდა პრაგმატული თვალსაზრისითაც, ბზარის გაჩენის საფრთხე არ არსებობს. პირიქით, პრემიერის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, უფრო მობილიზებულები ვიქნებით, რათა ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში არყოფნა გუნდმა არ იგრძნოს.

დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს „ქართული ოცნებიდან“ რიცხავენ

დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს პარტია „ქართული ოცნებიდან“ რიცხავენ და მას უახლოეს დღეებში უმრავლესობის რიგებსაც დაატოვებინებენ. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, ლორთქიფანიძის გარიცხვის თაობაზე პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია და აღნიშნული ოფიციალურად „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს უახლოეს სხდომაზე გაფორმდება. პოლიტსაბჭოს სხდომა პარტიული ყრილობის შემდეგ იგეგმება.

16 ნოემბერს, გამართულ ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომაზე, სადაც, ფრაქციის თავმჯდომარის პოსტზე ზაქარია ქუცნაშვილის გიორგი ვოლსკით ჩანაცვლების შესახებ გახდა ცნობილი, მიღებულ იქნა კიდევ ერთი გადაწყვეტილება — ლორთქიფანიძის პარტიიდან და ფრაქციიდან გარიცხვის თაობაზე. „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, შეხვედრაზე საკმაოდ მძიმე საუბარს ჰქონდა ადგილი. ლორთქიფანიძე უმრავლესობას, კერძოდ უმრავლესობის ლიდერს, დავით საგანელიძეს ღიად საპრეზიდენტო არჩევნების წინ დაუპირისპირდა. იგი საარჩევნო შტაბიდან დეპუტატების გარიყვაზე, უმრავლესობის შიგნით რამდენიმე დეპუტატისთვის „დისკომფორტის შექმნაზე“ საუბრობდა და ამაში საგანელიძეს ადანაშაულებდა.

უმრავლესობის ლიდერის განცხადებით, დავით ლორთქიფანიძის საკითხი აუცილებლად იქნება განხილული პოლიტსაბჭოს მომავალ სხდომაზე.

„მისი გარკვეული საქმიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ეს აუცილებლად იქნება განხილული პოლიტსაბჭოს მომავალ სხდომაზე. არ არის გამორიცხული, პარტიიდან მისი გარიცხვის საკითხიც დადგეს. საინტერესოა, თვითონ რატომ აღნიშნავს, რომ ამის შესახებ თითქოს არაფერი იცის. ამ საკითხს აუცილებლად განვიხილავთ და ასე არ დავტოვებთ“, — განაცხადა დავით საგანელიძემ.

დავით ლორთქიფანიძის პარტიიდან გარიცხვის შესახებ ინფორმაცია უკვე გავრცელდა, თუმცა დეპუტატი აღნიშნულ საკითხს ამ დრომდე არ ადასტურებს.

„ინტერპრესნიუსი“

„ვინც პარლამენტში სასულიერო პირების ფრაქციის შექმნაზე საუბრობს, ქრისტიანობაზე წარმოდგენა არ აქვს!“

მე-3 გვერდიდან

— საზოგადოებაში კიდევ ერთი საკითხი გახდა საკამათო: „იდენტობას“ მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის თავშესაფრის აშენების შესაძლებლობა არ მიეცა იმ მოტივით, რომ ორგანიზაცია სექსუალური უმცირესობების უფლებებს იცავს. გამოდის, ყველა ადამიანს სიკეთის კეთების უფლება არ აქვს?

— რა თქმა უნდა, თითოეულმა ადამიანმა მხოლოდ სიკეთე უნდა აკეთოს. უბრალოდ, აღვირახსნილი ცხოვრების, ჰომოსექსუალიზმისა და პედოფილიის პროპაგანდის ავტორების სიკეთეში ეჭვი მეპარება ისევე, როგორც ადამიანმა სიძვის ან ნარკომანიის პროპაგანდა დაიწყოს.

ამ შემთხვევაში საშიშროების წინაშე ვდგავართ — რა გარანტია გვაქვს, რომ ეს ადამიანები ბავშვებს მათივე ცხოვრების მაგალითს არ მისცემენ და აღვირახსნილობისკენ არ მოუწოდებენ?
მაგალითად, ჩემთან უცხო ადამიანი მოვიდა და ტაძრის ასაშენებლად ფულს მწირავს. თუ ვიცი, რომ ეს პირი ნარკობარონი ან ქურდია და ფინანსები სხვის უბედურებაზე აქვს ნაშოვნი, მისგან სიკეთე უნდა მივიღო? პირადად მე, შემიძლია, ამ ფულით საკვირაო სკოლა ავაშენო და ბავშვებს ქართული სული მივცე, მაგრამ წარმოუდგენელია, სიკეთე ბინძური წარმომავლობის ფინანსებით ვაკეთო.

— თუმცა „კანონიერი ქურდებიც“ ხომ აშენებდნენ ტაძრებს?

— მსგავსი რამ დაუშვებელია. ე.წ. კანონიერი ქურდებისგან სიკეთის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ეს ადამიანი იტყვის, რომ საქმიანობა სამუდამოდ დაასრულა და უზნეობას არასოდეს გაეკარება. ცოდვა მიეტევება მას, ვინც აღარ სცოდავს. ერთი შემთხვევა მეც მახსენდება, როცა ერთი ადამიანი ჩემთან მოვიდა და მითხრა — მოსკოვში ახლო მეგობარი ე.წ. კანონიერი ქურდი ჰყავდა, რომელსაც ეკლესიისთვის თანხის შემოწირვა და საკვირაო სკოლის დასრულებაში წვლილის შეტანა უნდაო. დახმარებაზე უარი ვუთხარი. ასე რომ, „იდენტობის“ ირგვლივ უამრავი კითხვა არსებობს. ეს ადამიანები ჰომოსექსუალიზმისა და პედოფილიის პროპაგანდას ეწევიან. დასავლეთში უკვე მიდის საუბარი იმაზე, რომ ზოოფილია და პედოფილია ნორმად უნდა ჩაითვალოს. მსგავსი ადამიანებისგან სიკეთესა და ბავშვების დახმარებაზე საუბარი წარმოუდგენლად მიმაჩნია.

მთავრობის დადგენილება, რომლითაც 40-ზე მეტ ინვესტორს 2 800 000 ლარის შეუსრულებელი ვალდებულება აპატიეს!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

2013 წლის მარტიდან სახელმწიფომ 40-ზე მეტ ინვესტორს შეუსრულებელი ვალდებულებებისთვის დაკისრებული ჯარიმები, ჯამში, 2 800 000 ლარი აპატია. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ სამთავრობო დადგენილების მიღებიდან დღემდე, სახელმწიფო ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელმა კომისიამ 50-მდე განაცხადი განიხილა, მათგან კი 40-ზე მეტი კომპანიის შემთხვევაში, დადებითი რეკომენდაცია გასცა. საუბარია ისეთ კომპანიებზე, რომლებსაც ამ დროისთვის უკვე შესრულებული აქვთ საინვესტიციო ვალდებულებები, მაგრამ საბოლოოდ, 2 800 000 ლარის დავალიანება ჩამოეწერათ. მთავრობაზე წარდგენილია კომისიის წინადადებები დამატებით 4 600 000 ლარის პირგასამტეხლოს ჩამოწერის შესახებ.

დიმიტრი ქუმსიშვილი: „საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობა არც ერთი კომპანიისთვის არ გვიპატიებია, მხოლოდ ისეთი შემთხვევები განვიხილეთ, სადაც საინვესტიციო ვალდებულებები ვადაგაცილებით შესრულდა!“

2013 წლის 28 მარტს საქართველოს მთავრობამ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივით, სახელმწიფო ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია შექმნა, რომელსაც მინისტრის პირველი მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილი ხელმძღვანელობს. კომისიის წევრები არიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უწყებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი პირები.

სანამ კომისია კონკრეტულ საინვესტიციო პროექტს განიხილავს, ინვესტორმა ჯერ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უნდა მიმართოს, კონკრეტული საინვესტიციო პროექტის განხილვის შემდეგ, საკითხს შესასწავლად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადასცემს, თავის მხრივ სამინისტრო კვირიკაშვილის ინიციატივით შექმნილ სამთავრობო კომისიას, კომისია კი საქართველოს მთავრობას. რეალურად, საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ საქართველოს მთავრობა იღებს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ კომისია ისეთი კომპანიების განაცხადებს იხილავს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზთა გამო, საინვესტიციო ვალდებულებები შესრულებული არ აქვთ. განსაზღვრული პირობებით, ასეთ კომპანიებს კომისია საშუალებას აძლევს, საინვესტიციო ვალდებულებები შეასრულონ და პროექტი დაასრულონ. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ჩათვლის, რომ ინვესტორი საინვესტიციო ვალდებულებებს ვერ შეასრულებს, სააგენტო მასთან შეთანხმებას შეწყვეტს, ხოლო ინვესტორის ქონება სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნდება.

საზოგადოებას აინტერესებს, რა კრიტერიუმით შეირჩევა საინვესტიციო პროექტები ან კომპანიები, რომელთა თხოვნასაც სამთავრობო კომისია განიხილავს. რა პრინციპით შეარჩევს მთავრობა იმ კომპანიებს, რომლებსაც პირგასამტეხლოს ანუ შეუსრულებელ ვალდებულებებს აპატიებს და საინვესტიციო პროექტს გაუგრძელებს? ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით:

„პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხი კომისიას წარედგინება იმ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებო პირობის ვადა არანაკლებ ერთი წლითაა შეცვლილი, თუ დაკისრებული ან დასაკისრებელი პირგასამტეხლოს საპატიებელი ოდენობა 100 000 ლარს აღემატება. კომისია ასეთ შემთხვევებს განიხილავს და რეკომენდაციებსაც გასცემს. ამის შემდეგ საკითხი უკვე მთავრობის სხდომაზე გადის და შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების საბოლოო დისკრეციაც სწორედ მთავრობას აქვს“.

სამართლისა და ფინანსური საკითხების ექსპერტი **ლევან ალაფიშვილი** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ 40 კომპანიას შორის, რომლებსაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შეუსრულებელი ვალდებულებები აპატიეს, „არსენალ დეველოპმენტიცაა“. მისი თქმით, არც ისე დიდი ხნის წინ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური „არსენალ დეველოპმენტს“ გადასახადების გადაუხდელობას ედავებოდა, რის გამოც, სასამართლო პროცესი გაიმართა და „არსენალ დეველოპმენტის“ ქონების აუქციონზე გატანის დადგენილება მიიღეს:

„ეს სამართლებრივ-პროცედურული ხასიათის საკითხებია, მაგრამ მთავარია, რას იღებს სახელმწიფო, საზოგადოება და ბიუჯეტი ამ ნაპატიები ასეული ათასი ლარის სანაცვლოდ? ისე არ გამოვიდეს, რომ კომპანიამ იყიდა სახელმწიფო ქონება (საჯარო სიკეთე) და საინვესტიციო ვალდებულებებისა და სანქცირების გარეშე განაგრძობს მშვიდ ცხოვრებას. თუნდაც „არსენალ დეველოპმენტის“ მაგალითზე ვიმსჯელოთ, რომელსაც საგადასახადო ვალდებულებები შეუსრულებელი ჰქონდა, მაგრამ ახლა საინვესტიციო ვალდებულებებიც (საკმაოდ დიდი თანხები) აპატიეს. სანაცვლოდ, სახელმწიფო ბიუჯეტი სანქციებიდან „ნულს“ იღებს, ხოლო კომპანია ფინანსური ტვირთისგან თავისუფლდება. საინტერესოა, რა იქნება ხვალ? არის გარანტია, რომ კომპანია საინვესტიციო პროექტს განახორციელებს? სანქციებისგან გათავისუფლებისას, თუნდაც საბანკო ან სხვა სახის გარანტია მოსთხოვეს კომპანიებს თუ სიტყვაზე ენდნენ და უთანაგრძნეს?

თავის დროზე, როდესაც პრივატიზება კონკურენტულ პირობებში ჩატარდა, იმ კომპანიებს, რომლის კონკურენტმაც გარკვეული პირობების გამო, ვერ გაიმარჯვა, დღეს რას ეუბნება სახელმწიფო? ასე ხომ გამჭვირვალე და კონკურენტულ პირობებში პრივატიზაციის არსიც იკარგება?! წარმოიდგინეთ, საწყის ეტაპზე, მე და თქვენ კონკურენციაში ვართ, ერთმანეთს ვეცილებით და ვიცით, რომ რა პირობითაც გავიმარჯვებთ, იმ პირობით ვაგრძელებთ ურთიერთობას. მიუხედავად ამისა, როდესაც დასაწყისშივე ცნობილია, რომ „დანაშაულს“ მაინც გვაპატიებენ, ჩემსა და თქვენს შორის კონკურენცია აზრს კარგავს. ამ გადაწყვეტილების ნაცვლად, შესაბამისი კანონის საფუძველზე, ერთჯერადი ფინანსური ამნისტია რომ შემოგვეღო, გასაგები იქნებოდა. რაც მთავარია, კარგი იქნებოდა, ეკონომიკის სამინისტროს კანონის ნორმა მიეთითებინა, რომელიც უფლებას აძლევს, განიხილოს და კომპანიებს სახელმწიფო ბიუჯეტის ფული აპატიოს. კანონი ასეთ ნორმას არ ითვალისწინებს, რადგან თავის დროზე, ამ კომპანიამ ნებაყოფლობითი ხელშეკრულების საფუძველზე იკისრა ვალდებულება და არ შეასრულა, ასეთ შემთხვევაში კი, სამოქალაქო კოდექსით, კომპანიამ პასუხი უნდა აგოს კიდეც“.

„ვერსია“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველ მოადგილეს, **დიმიტრი ქუმსიშვილს** დაუკავშირდა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო არც ერთ კომპანიას ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობას ანუ გადასახადების გადაუხდელობას არ აპატიებს:

— ბატონო დიმიტრი, ამ გადაწყვეტილების გამო, ზოგადად, პრივატიზების პროცესი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება?

— საკითხების 99%-ზე მეტი, რომელიც განვიხილეთ, პირდაპირი მიყიდვის წესით განხორციელებულ პროექტებს ეხებოდა, სადაც კონკურენციის პრინციპი არ არსებობს. ეს არის უკვე არჩეული კომპანია, სადაც პრეზიდენტმა გამოიყენა საკუთარი დისკრეცია და სახელმწიფომ მასთან ხელშეკრულება გააფორმა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობა არც ერთი კომპანიისთვის არ გვიპატიებია, მხოლოდ ისეთი შემთხვევები განვიხილეთ, სადაც საინვესტიციო ვალდებულებები ვადაგაცილებით შესრულდა! ამ კომპანიების უდიდესი ნაწილის მიერ, თანხაში შესრულებული საინვესტიციო ვალდებულება, რამოდენიმეჯერ აღემატება ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. შესაბამისად, ეკონომიკის ზრდის ნაწილში არ შეიძლება არსებობდეს კითხვა — რატომ ვიღებთ ამ გადაწყვეტილებას. ძირითადი არგუმენტი, რის გამოც პირგასამტეხლოებს ვპატიობთ, ისაა, რომ საინვესტიციო ვალდებულებები რეალურად ანუ დღევანდელი მდგომარეობით, ვადაგადაცილებითაა შესრულებული...

— ხელშეკრულების მიხედვით, ინვესტორს პროექტი 2 წელში უნდა დაესრულებინა, მაგრამ 2 წელი და 3 თვე დასჭირდა?

— რათქმაუნდაან, მაგალითად, საინვესტიციო ვალდებულებები აიღო 2000000 ლარზე, დღეს უკვე განხორციელებული აქვს 6 000 000 ლარის ინვესტიცია, მაგრამ კიდევ ნახევარი წელი სჭირდება პროექტის დასასრულებლად. საინვესტიციო ვალდებულებებში ხშირად წერია, განახორციელოს ინვესტიციები არანაკლებ გარკვეული რაოდენობის თანხისა და შეიყვანოს ექსპლოატაციაში ესა და ეს შენობა. აქედან გამომდინარე, არგუმენტი, რომ რომელიმე კომპანიას აპრიორი ვეუბნებით, გარკვეული ვალდებულებები გეპატიებაო, ნამდვილად არ არის. გარდა ამისა, ამ გადაწყვეტილებას მეორე ნაწილიც აქვს, პირობითი პატიება, მაგრამ ამ ნაწილშიც არაფერს ვპატიობთ, უბრალოდ ვამბობთ, გავაცოცხლოთ საინვესტიციო პროექტები. კომპანიებს ძალიან დიდი საჯარიმო სანქციები აქვთ დარიცხული, რადგან სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო შეექმნათ პრობლემები, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენთან ამ ობიექტურ პრობლემებს წარმოადგენენ, კომისია იწყებს განხილვას. რაც შეეხება გამჭვირვალობას, ნებისმიერი გადაწყვეტილება უდიდეს ფილტრს გადის. რაც შეეხება პირობით პატიებას, ესეც საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან როდესაც გარკვეული პროექტი გასაცოცხლებელია, ხოლო კონტრაგენტი მზადაა, საბანკო გარანტია მოიტანოს, ჩვენ ვახერხებთ, კონტრაქტში კონკრეტული ფაზები ჩავუდოთ. ეს იმას ნიშნავს, თუ რა უნდა გააკეთოს კომპანიამ პირველ, მეორე და ასე შემდეგ ფაზებში. ამის შემდეგ, სახელმწიფო ეუბნება ინვესტორს, რომ თუ პირველ ფაზას არ შეასრულებს, ყველა დარიცხულ საჯარიმო სანქციას აღუდგენს, კონტრაქტს გაუწყვეტს, ქონებას სახელმწიფო დაიბრუნებს და ძველთან ერთად, ახალ ჯარიმასაც დააკისრებს.

— პირობითი პატიება წლობით შეჩერებულ პროექტებსა და მშენებლობებს ეხება?

— დიახ, რადგან წლობით შეჩერებული საინვესტიციო პროექტები ყველას გვადარდებს, ეკონომიკის ზრდა და შესაბამისი შედეგების მიღება გვინდა. თუ სააგენტო, ეკონომიკის სამინისტრო, შემდეგ უკვე კომისია და მთავრობაც ინვესტორის არგუმენტებს არ გაითვალისწინებს, არაფერი ხდება. კომისიამ 50 კომპანიის საკითხი განიხილა, მაგრამ მათგან 10-ს უარი უთხრა. არიან კომპანიები, რომლებიც კომისიამდეც კი ვერ მიდიან, რადგან მათი არგუმენტები იმდენად სუსტია, რომ ჯერ სააგენტო და შემდეგ ეკონომიკის სამინისტრო უარით ისტუმრებს.

— ბატონო დიმიტრი, „არსენალ დეველოპმენტს“ გადასახადების გადაუხდელობის გამო, შემოსავლების სამსახურმა სასამართლოში საქმე აღუძრა, სადაც ამ კომპანიის ქონების აუქციონზე გატანის გადაწყვეტილება მიიღეს. ასეთ პირობებში, საინვესტიციო ვალდებულებების პატიება სამართლიანი გადაწყვეტილებაა?

— არაფერი გვიპატიებია „არსენალ დეველოპმენტისთვის“ და არც ის ვიცი, ეს მაგალითი რატომ მოგყავთ. რამდენიმე პრინციპული საკითხია ამ კომპანიასთან დაკავშირებით, პირველი — უკვე დიდი ხანია, ბატონი კახი კალაძე „არსენალ დეველოპმენტში“ აღარ არის; მეორე — აღნიშნული პროექტი, შინაარსითა და იურიდიული სტრუქტურით საკმაოდ რთულია. შესაბამისად, მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა და არც შედეგი დამდგარა. დღეს ჯარიმების პატიებასა თუ არპატიებას, საერთოდ არ განიხილავს არც სააგენტო, არც ეკონომიკის სამინისტრო და არც კომისია. მეტიც, ასეთი საკითხით არც ერთ კომპანიას მოუმართავს.

— მთავრობის დადგენილების მიხედვით, კომპანიას, რომელსაც გადასახადები არ გადაუხდია, სახელმწიფო არაფერს პატიობს და შესაბამისად, ბიუჯეტიც შემოსავლებს არ კარგავს?

— ეს აბსოლუტურად განსხვავებული ქმედებაა, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს გადასახადებთან. პირდაპირ გეტყვით, არ არსებობს საგადასახადო კოდექსში ჩანაწერი ან მუხლი, რომლითაც გადასახადების პატიება განისაზღვრება. ეს სახელშეკრულებო ურთიერთობაა ორ სუბიექტს — ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის, რომლიდან გამომდინარეც, სახელმწიფოს გათვალისწინებული ჰქონდა ეკონომიკური ზრდა ანუ შედეგი იყო საინვესტიციო პროექტის დასრულება, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) აისახა. თუმცა ის, რომ აქედან ჯარიმები და საურავები უნდა ყოფილიყო მიღებული, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ეს ფისკალური ეფექტი გათვალისწინებული არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა, რადგან ითვლება, რომ ეს საგადასახადო ვალდებულება უნდა შესრულდეს. აქედან გამომდინარე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არანაირ ფინანსურ ან საგადასახადო ამნისტიაზე საუბარი არ არის. კანონის მუხლი, რომელიც მთავრობას შესაძლებლობას ანიჭებს, განიხილოს პატიება, არის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 49-ე პრიმა მუხლი და მერწმუნეთ, ამას საგადასახადო კოდექსთან არავითარი კავშირი არ აქვს!

რკინიგზელთა გაფიცვის ქრონიკა

ვინ ებრძვის პროფკავშირებს საქართველოში?

„რკინიგზელებმა ბრძოლის რთული გზა გამოიარეს საკუთარი უფლებების დაცვისა და სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. გაფიცვის პროცესი და მოლაპარაკებები ღია იყო, მასში ხელისუფლება უარყოფითი ფორმით არ ჩარეულა. ყველაფერი თითქმის ისე იყო, როგორც ევროპის განვითარებული ქვეყნების პროფკავშირების გაფიცვის შემთხვევაში. აღნიშნულ, კონსტიტუციით გარანტირებულ საგაფიცვო პროცესს — მხოლოდ ერთი რამ არღვევდა, ნაციონალების სტილში მომუშავე მედია და იყო რკინიგზის ადმინისტრაცია, რომელმაც მოლაპარაკებათა მაგიდასთან დაჯდომა ბინძური მეთოდების გამოყენებით მაქსიმალურად გააჭიანურა“, — ასეთ კომენტარს აკეთებს ირაკლი პეტრიაშვილი გაზეთ „ვერსიასთან“ საუბარში რკინიგზელების გაფიცვის დასრულების შემდეგ, რომელიც მედიაში მთელი კვირის განმავლობაში, პრაქტიკულად, ერთ-ერთი მთავარი თემა იყო.

გაფიცვა 14 ნოემბერს, დილის 10 საათზე დაიწყო მას შემდეგ, რაც რკინიგზელების მიერ, ადმინისტრაციისთვის მიცემული ულტიმატუმის ყველა ვადა ამოიწურა. ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებებს გაფიცვის წინა ღამითაც უშედეგოდ ელოდნენ. ყველა რკინიგზელი აცნობიერებდა, რა პრობლემებს შეუქმნიდა რკინიგზას გაფიცვა, თუმცა ადმინისტრაციამ არც ეს გაითავისა და არც საკუთარი თანამშრომლების მინიმალური მოთხოვნები. რკინიგზელები ადმინისტრაციას ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას, სამართლიანი და გამჭვირვალე საპრემიო სისტემის დაწესებასა და, სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, დანამატების გაცემას სთხოვდნენ. საპასუხოდ კი ადმინისტრაციის ერთი ნაწილის მხრიდან მხოლოდ აგრესია მოდიოდა. უპასუხისმგებლო ნაბიჯებითა და დიალოგზე უარის თქმით, რკინიგზის ადმინისტრაციამ დასაქმებულებს სხვა გზა, უბრალოდ, არ დაუტოვა და პროტესტის უკიდურესი ფორმისკენ — გაფიცვისკენ თავად უბიძგა.

ირაკლი პეტრიაშვილი საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე:

— რკინიგზელები, დაახლოებით, ერთი წლის წინაც გაიფიცნენ, ორგანიზაციაში წლების განმავლობაში დამკვიდრებული უმსგავსებისა და იმ სოციალური პრობლემების გამო, რაც ამა წლის 14 ნოემბრამდე ისევ მოუგვარებელი იყო. თუკი წინა გაფიცვა ერთგვარ რევანშისტულ ხასიათს ატარებდა ბატონი ეზუგბაიას წინააღმდეგ (რომელსაც ძალოვანი სტრუქტურებისა და ნაციონალური მოძრაობის მფარველობა უკვე მოხსნილი ჰქონდა), 14 ნოემბერს რკინიგზელები მმართველობის დაახლოებით იმ სტილის გამო გაიფიცნენ, რაც თანამდებობის ახალმა პირებმა ძველი ადმინისტრაციისგან გადმოიღეს. სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც ეზუგბაიასა და ადეიშვილსაც კი არ უქნია — რკინიგზელებს წაართვეს პროფკავშირი, რკინიგზის პროფკავშირის არჩევნებზე მთელი ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენეს და დემოკრატიული არჩევნების ნაცვლად, ფაქტობრივად, ძალით გაათრიეს თავმჯდომარედ, ერთ დროს ჩემი სტრუქტურისა და ჩემს მიერ ლობირებული ჰამლეტ ლომიძე, რომლის იქ მიყვანითაც, თავის დროზე ეზუგბაიას არ მივეცით შანსი, პროფკავშირი „ჯიბეში ჩაესვა“, მაგრამ სასამართლოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩემი მითითებითა და ხელშეწყობით მორბენალ ჰამლეტ ლომიძისთვის, თურმე მთავარი პრინციპები პროფკავშირული მრწამსი კი არ ყოფილა, არამედ მას ეზუგბაია მხოლოდ იმიტომ არ მოსწონდა, რომ ფულს არ უხდიდა. ახალმა ადმინისტრაციამ კი გადაუხადა და ამის გამო, ერთ დროს პროფკავშირის ლიდერი, ყურმოჭრილ მონად იქცა!

ადმინისტრაციამ ლომიძის გათავმჯდომარება არ იკმარა და პროფკავშირის გამგეობაც თავისი ხელმძღვანელი თანამდებობის პირებით დააკომპლექტა. ამის შემდეგ უკვე არც ჩვენმა გაერთიანებამ დააყოვნა რეაგირება და დამსაქმებელთან შეკრული და „უკანა თათებზე მდგარი“ ფსევდოპროფკავშირი გავრიცხეთ ჩვენი რიგებიდან. მათი გარიცხვის შემდეგ კი ხელი შევუწყვეთ ახალი, დასაქმებულთა ინტერესებზე ორიენტირებული პროფკავშირის ჩამოყალიბებას, სადაც დღეს გაწევრიანებულია რკინიგზელთა უმრავლესობა და ამ ნაბიჯით შანსი მივეცით ადმინისტრაციას მრუდე, თავის ჯიბეში ჩადებული „სარკის“ ნაცვლად (იგულისხმება ძველი პროფკავშირი), ჩაეხედა რეალურ სარკეში, გაეგო დასაქმებულთა პრობლემები და დიალოგის გზით გადაეწყვიტა რკინიგზელებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. ახალი პროფკავშირის ერთწლიანმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. არც კოლექტიური ხელშეკრულება დაიდო და მეტიც, კანონით მინიჭებული ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურებაც კი არ მიეცათ დასაქმებულებს. გაფიცვაზე გამოსული რკინიგზელების მიერ დაყენებული სამი მოთხოვნიდან ერთი სწორედ მათი კუთვნილი ზეგანაკვეთური ანაზღაურების გადახდა იყო, რაზეც ადმინისტრაცია ამბობდა: ჩვენ თქვენ ე.წ. დღემაგიერს მოგცემთო. არადა, ე.წ. დღემაგიერი მხოლოდ მუშის თანხმობით შეიძლება მიეცეთ. მიბრძანდით და ჰკითხეთ ქალბატონ თეა წულუკიანს ამ საკითხზე და თუ სიმართლეს არ ვამბობ, მზად ვარ, ახლავე დავწერო განცხადება და თანამდებობა დავტოვო!

— გამოდის, გაფიცვა გარდაუვალი იყო...

— როდესაც დამსაქმებელი რკინიგზელს ანბანურ ჭეშმარიტებებზე უარს ეუბნება, ისედაც მძიმე სოციალურ პირობებში, სპეცტანსაცმლის ნაცვლად, ლილოს ბაზრობაზე ნაყიდ სპორტულებსა და ბოტასებში გამოწყობილი რკინიგზელი, რა თქმა უნდა, გაიფიცება. გეკითხებით — ვინ იყო ამ გაფიცვის ხელშემწყობი ახალ პროფკავშირი, რომლის თავმჯდომარეც გაფიცვამდე ერთი დღით ადრე მივიდა ბატონ გუნცაძესთან და მასთან საქმიანი დიალოგის გამართვის სურვილი გამოთქვა და პასუხად მიიღო — სადაც ვიწროა, იქ გაწყდესო? მე, რომელიც ორი თვის განმავლობაში, ახალ პროფკავშირს ვთხოვდი, დიალოგის რესურსი ბოლომდე გამოეყენებინა, ცხრაჯერ ვესაუბრეთ შრომის მინისტრის მოადგილეს, ბატონ კახა საკანდელიძეს, რომ ჩვენს შორის მედიაცია გაეწია, რათა ვილნიუსის სამიტის წინ, გაფიცვას არ დაეზარალებინა ქვეყანა (ბატონმა კახამ მცდელობა არ დააკლო, მაგრამ ვერაფერს გახდა რკინიგზის ადმინისტრაციასთან), მე, რომელიც, გაფიცვამდე ერთი კვირით ადრე და გაფიცვის დროსაც, ოფიციალური ვიზიტით პეტერბურგში ვიმყოფებოდი, თუ ადმინისტრაციამ რომელთა ნაწილსაც თანამდებობებმა სიამაყისა და ამპარტავნობის „კუზი“ ამოუყვანა და ამ „კუზმა“ არ მისცა უფლება, მუშებთან დამსხდარიყვნენ მოსალაპარაკებლად. გულწრფელი დიალოგის ნაცვლად, ადგილი ჰქონდა ახალი პროფკავშირის გამგეობის წევრების მოსყიდვის მცდელობის, დაშინებასა და შანტაჟს. როგორც რკინიგზელები მწერენ, შანტაჟი დიდი დოზით გამოიყენებოდა, გაფიცვის წინა დღეს, განსაკუთრებით სამტრედიაში და არა მარტო იქ, რაზეც საკუთარ დასკვნებში არასამთავრობო და საერთაშორისო ფონდების წარმომადგენლებიც წერენ. ისინი აკვირდებოდნენ გაფიცვის პროცესს, რომელიც, სამწუხაროდ, ძვირი დაუჯდება ქვეყანას. ეს ადამიანები მარტო გაფიცვას კი არ მაბრალებდნენ, არამედ კონტრდაზვერვის, კუდ-ის, სოდ-ისა და ნაციონალური მოძრაობის მიერ მართულად გამოგვაცხადეს მე და აქციის საორგანიზაციო ჯგუფი. რკინიგზის ახალი პროფკავშირი კი ჩემს მიერ ჩანერგილებად რკინიგზაში. რატომ დასჭირდა ადმინისტრაციას ეს ბინძური ზღაპარი? პასუხი მარტივია, ეს ადამიანები მთავრობასა და უშუალოდ მათ დამსაქმებლებთან ხომ არ იტყვიან: არა მარტო მენეჯმენტი, არც ხალხთან კომუნიკაციის დამყარება და მათი მართვა ვიცითო. არ სჯობს, მათი ჭკუით ეს „ოროსნობა“ (არაპროფესიონალიზმი) სხვას დააბრალო, ერთის მხრივ თან მეორე კურდღელიც დაიჭირო და გაფიცული თანამშრომლების თვალში პროფკავშირების დისკრედიტაცია მოახდინო?! ამას გარდა, მარტივად და ბინძური სატელევიზიო სიუჟეტებით აუხსნა ხალხს — დაბრუნდით, ხალხო, სამსახურში თურმე საზოგადოებისთვის არაპოპულარული ნაციონალური მოძრაობა, კონტრდაზვერვა, კუდ-ი და სოდ-ი მართავს ამ პროცესებსო, მაგრამ ორი კურდღლის მადევარს რაც ემართება, ეს თქვენც კარგად იცით. სხვათა შორის, „ოჯახური შავი პიარიც“ კი იყო ჩართული ჩვენს წინააღმდეგ. მამა სანიკიძე რკინიგზის ადმინისტრაციიდან და შვილი – თამთა სანიკიძე ტელევიზიიდან არაადეკვატურ სატელევიზიო სიუჟეტებს გვიძღვნიდნენ. თავის მხრივ, ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები მთავრობის დარწმუნებას ცდილობდნენ, რათა იმ ფორმით ჩარეულიყო მთავრობა პროცესებში, როგორც ეს ნაციონალური მოძრაობის დროს ხდებოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, სამართალმა პური ჭამა!

– ბატონო ირაკლი, ვინ არის ის ხალხი, თქვენ და თქვენს ორგანიზაციას რომ ებრძვის?

– უპირველეს ყოვლისა, მთავრობას მინდა ვუთხრა, რომ ძალიან ბევრი ვიგინდარა, „ოროსანი“ და არაკომპეტენტური ადამიანის დანიშვნა მოხდა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ და სწორედ ამ ტიპის კადრების „დამსახურებაა“ ჩვენთვის ნაციონალობის დაბრალება. თან ეს ხდებოდა მრავალი მოგონილ-შეთხზული სტატიით, როგორც ამას აკეთებდა რკინიგზის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ვინმე გია ყრუაშვილი. ეს პირი (და არა პიროვნება), როგორც რკინიგზელები ამბობენ, თავის დროზე, ყალბი დიპლომის გამო გააგდეს სამსახურიდან, ახლა 2600-ლარიან სამსახურშია და თავის 21 წლის შვილიც დაასაქმა დეპოს უფროსის მოადგილეს თანამდებობაზე (მაშინ როცა რკინიგზაში უამრავი კომპეტენტური კადრი არსებობდა). როდესაც რკინიგზელი, რომლის თავზე მხოლოდ „წისქვილის ქვა არ დატრიალებულა“ ამ უსამართლობას ყოველდღე უყურებს, როგორ ფიქრობთ, როგორი განწყობა ექნება? ასევე გვიპირისპირდება ემზარ ბეჟაშვილი, რომელიც 2 კაპიკის გამო მზეზე იტყვის მთვარეაო. იგი ჩემი გაერთიანების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე იყო და გავაგდეთ იმიტომ, რომ ორჯერ ორი არ იცოდა, მის მიერ შემოწმებულ ობიექტს ავტომანქანა ჩამოაწერინა და უკანონოდ მიითვისა. ეს ბეჟაშვილი, რომელმაც ჩემი და ჩემი ორგანიზაციის ყველა ნაბიჯი იცის, ვიღაც გია ალავიძის სიცრუეს მიყენებს ბრალდებად, თითქოს კონტრდაზვერვასთან ვთანამშრომლობდი. თუკი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ამაზე მეტი სათქმელი არ აქვს, მაშინ მართლა მაგარი ვყოფილვარ! ბატონ კახა კუკავას მინდა მივმართო, რომელსაც ეს კაცი პარტია „თავისუფლების“ მიერ დაფუძნებული ფსევდოპროფკავშირის თავმჯდომარედ ჰყავს. ბატონო კახა, ცოტა უხერხული ხომ არ არის, ოპოზიციური პარტიის ამბიცია გქონდეთ და გაფიცვის დისკრედიტაციას ახდენდეს თქვენი სტრუქტურის წარმომადგენელი და უპირისპირდებოდეს დასაქმებულ ადამიანებს? გაფიცვამ ნათლად დაადასტურა პროფკავშირების გაერთიანების ვარაუდი იმის შესახებ, რომ ძველი პროფკავშირები იყო ადმინისტრაციის ჯიბეში მჯდომი და მუშათა უფლებებს არ და ვერ დაიცავდა.

რაც შეეხება გია ალავიძეს – ყოფილ გამომძიებელს, რომელიც თაღლითობისთვის რამდენჯერმე იყო ნასამართლევი და სახელი ერთ-ერთი ტელეკომპანიისთვის მიცემული სამარცხვინო ინტერვიუთი დაგვამახსოვრა. ამ ადამიანმა ციხეში გადაღებულ კადრებზე ისრით მიუთითა პიროვნებაზე, რომ თითქოს მე ვიყავი. შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ ალავიძეს, თუ რამე დაკვეთა ჰქონდა, შეეძლო რეალურად დავეფიქსირებინე, მართლაც რომ მევლო ამ ხალხთან. მეტსაც გეტყვით ამ ვიგინდარას მოღვაწეობაზე. 27 ოქტომბერს, 15:24 საათზე მომდის მოკლეტექსტური შეტყობინება ნომრიდან 597 451035 შემდეგი ტექსტით: **„ბატონო ირაკლი, მე გია ალავიძე გაწუხებთ, სასურველია, დღეს დამეკონტაქტოთ ან შემხვდეთ. პირადი პრობლემებისა და თავის მოსაბეზრებლად არ გაწუხებთ“.** არ ვიცოდი, ვინ იყო ეს გია ალავიძე და ჩავთვალე, რომ ვიცე-მერი, დავით ალავიძე მწერდა. გამაკვირვა ტექსტმა და დავურეკე. როდესაც ვკითხე, ვინ გია ალავიძე იყო, მითხრა, რომ არ ვიცნობდი. როდესაც დავრწმუნდი, რომ არ იყო დავით ალავიძე (რომელიც მეტროში გაფიცვის დროს გავიცანი), ვკითხე, სად მუშაობდა, რადგან ჩავთვალე, რომ პროფკავშირული დახმარება სჭირდებოდა. მიპასუხა, რომ ახლა არსად მუშაობს და, უბრალოდ, ჩემი ნახვა უნდოდა. შევთავაზე ორშაბათს მოსულიყო, ამას წინასწარ შეთანხმება არ დასჭირდებოდა და გავთიშე ტელეფონი. 15:50 წუთზე მომდის შეტყობინება შემდეგი ტექსტით: **„ჩემს შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ადამიანის უფლებათა ცენტრის ვებ-გვერდზე და შეეხება სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულებს. გვარები ისედაც იცით. ბოდიში შეწუხებისთვის“.** ამის მერე ტელეფონი ითიშება. იმ დროს ვიყავი არჩევნებზე და კომპიუტერთან წვდომა არ მქონდა. საიტზე, რომელიც „ესემესშია“ მითითებული, იდო ტელეკომპანია „მაესტროზე“ გასული რეპორტაჟი გირგვლიანის საქმეზე. ამის შემდეგ მომდის ცარიელი შეტყობინება ნომრიდან 597 95 5001. ვეჭვობ, რომ ეს ის ნომერი იყო, რომელზეც მის გამომგზავნს სურვილი ჰქონდა, დამერეკა. ვეჭვობ იმიტომ, რომ ადრე გადმოგზავნილ ნომერზე გავუგზავნე შეტყობინება 18:10 წუთზე შემდეგი ტექსტით: **„ვნახე თქვენს მიერ მითითებული საიტი. არ ვიცი, რა საქმე გაქვთ ჩემთან იმ სატელევიზიო სიუჟეტის შემდეგ, მაგრამ, როგორც გითხარით, ხვალ, 6 საათზე, ოფისში მობრძანდით და შეგხვდებით“.** ამის შემდეგ მისი ნომერი გაითიშა და ის შესახვედრად არ მოსულა. თაღლითობისთვის არაერთხელ ნასამართლევი ალავიძე ამ ამბითაც ამართლებს თაღლითის იმიჯს და პეტერბურგში ყოფნის დროს, 12 ნოემბერს, დაფარული ნომრით მირეკავს და მეუბნება, რომ რადგან მე არ ვისურვე მასთან ურთიერთობა, დანარჩენი ჩემს თავს უნდა დავაბრალო და ტელეფონი ითიშება ისე, რომ პასუხის გაცემასაც ვერ ვასწრებ. ეს ის დღეებია, როდესაც პირველი არხით სამი ქალბატონი აჩვენეს, რომლებიც აცხადებენ, რომ რკინიგზელებს ყველაფერი კარგად აქვთ, რომ ტოვებენ გაფიცვის გამო პროფკავშირს და აქცია დესტრუქციული ძალებისგან, გარედან (ანუ ჩემგან) იმართება. მეორე დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადის სიუჟეტი, სადაც სწორედ ეს გია ალავიძე ცდილობს, აქციის დისკრედიტაციას ჟურნალისტთან ერთად და ამბობს, რომ ეს გულწრფელი პროტესტი არ არის, და იგი იმართება პეტრიაშვილის მიერ, რომელსაც კუდ-ი, სოდ-ი და კონტრდაზვერვა აკონტროლებს. მე, როგორც საქართველოს მოქალაქესა და ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ნამდვილად არ მაქვს წარმოდგენა, როგორ ხდება თანამშრომლობა კონტრდაზვერვასთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, რომლებიც ფუნქციონალურად სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას იცავენ და უცხო ქვეყნის აგენტებს დასდევენ, მაგრამ თუ რაიმეთი სასარგებლო შემიძლია ვიყო ამ სტრუქტურებისთვის, ჩემი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის დასაცავად მივმართავ თქვენი გაზეთის მეშვეობით, რომ მზად ვარ მათთან სათანამშრომლოდ!

— ოპონენტები თქვენ ასევე წინა ხელისუფლებასთან ახლო ურთიერთობაშიც გადანაშაულებენ...

— რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობასთან ურთიერთობას... ვფიქრობ, ზოგიერთის უაზრო არაადეკვატურ ოპონირებას ნამდვილად სჯობდა და უფრო ეფექტური იყო ჩვენს მიერ წარმოებული კამპანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თითოეული სიმახინჯის მხილების თვალსაზრისით, რასაც ნაციონალები აკეთებდნენ დასაქმებულებსა და პროფკავშირებთან მიმართებაში. ჩვენს მიერ მხილებული საქმეები შეუძლიათ იხილოთ ევროკავშირის ანგარიშებში, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებსა და wikileaks-ის მასალებშიც კი, თუ რა ზეწოლას განვიცდიდი პირადად მე ნაციონალური მოძრაობისგან. თუმცა, თუკი ამ ხელისუფლებამაც, წინა ხელისუფლების მსგავსად, პროფკავშირსა და დასაქმებულებზე ზეწოლის გზა აირჩია (ჯერჯერობით, ამის საფრთხეს ვერ ვხედავთ), ჩვენ ზუსტად ისევე ვიბრძოლებთ, როგორც ყოველთვის ვიბრძოდით!

დაბოლოს, გაფიცვის მეორე დღეს მირეკავს საფრანგეთის რადიოს ჟურნალისტი და მთხოვს კომენტარს რკინიგზის ადმინისტრაციის განცხადებაზე, რომელიც აცხადებს, რომ „პროფკავშირების გაფიცვა საქართველოს როგორც სატრანზიტო ქვეყნის იმიჯს ლახავს“, — რკინიგზის ადმინისტრაციისთვის, (რომელსაც კიდევ ერთხელ მოუწოდებ ღია და გულწრფელ დიალოგში შევიდეს პროფკავშირებთან) ჩემი პასუხი იყო და არის, რომ ქვეყნის იმიჯი ილახებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებით, სადაც ყველგან წერია, რომ ხელისუფლება მიმართავდა შანტაჟს, დაშინებას, ე.წ. ყვითელი პროფკავშირის ჩამოყალიბების გზებს, ქვეყნის იმიჯი ილახება, როდესაც რკინიგზელს არა აქვს სპეცტანსაცმელი და ბოტასებითა და სპორტული ტანსაცმლით მუშაობს. აქედან გამომდინარე, თუ სოციალური სიდუხჭირე სჭარბობს კეთილდღეობას, გარემო არასტაბილური ხდება ტრანზიტისა და ინვესტორებისთვის.

რაც შეეხება გაფიცვას... ვფიქრობ, დემოკრატიულ არჩევნებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ხელისუფლებისა და ძალოვანი სტრუქტურების ჩაურევლობა ამ გაფიცვაში. ჩარევასა და ზეწოლას ევროპაც და ჩვენც წინა ხელისუფლების პირობებში მიჩვეულნი ვიყავით და ეს ჩაურევლობა, იმედი მაქვს, შესაბამისად იქნება დაფასებული ვილნიუსის სამიტზე, სადაც მიწვეული გახლავართ და შევეცდები, ეს დადებითი მოვლენები და მომენტები წარმოვაჩინო“.

სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის შეჩერება არ იგეგმება

რუსუდან შელია
557-100-768

სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამა 28 თებერვლიდან ამოქმედდა, რომლის მიხედვითაც, პირველ ეტაპზე, ორ მილიონზე მეტ ადამიანს მინიმალური პაკეტით უნდა ესარგებლა, პირველი ივლისიდან კი სადაზღვევო პროგრამის მეორე ეტაპი შევიდა ძალაში, რომლის ფარგლებშიც უფასო პირველადი ჯანდაცვისა და გადაუდებელი დახმარების პროგრამებს, გეგმური სერვისების დაფინანსებაც დაემატა. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სამინისტროში აღნიშნული პროგრამის წარმატებაზე საუბრობენ, საზოგადოების ნაწილი პროგრამაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას ითხოვს. რა პრობლემები შეიქმნა საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ამოქმედების პარალელურად, „ვერსია“ ჯანდაცვის პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსს, რუსუდან გოგოლაშვილს ესაუბრა.

— სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში, ჯამში, 106 838 ადამიანი დაფინანსდა. მათ შორის, გადაუდებელი ამბულატორია — 68 574 შემთხვევა, გადაუდებელი სტაციონარი, რომლის დროსაც პაციენტმა საავადმყოფოში 24 საათზე მეტხანს დაჰყო — 16 461, გეგმური ქირურგიული მომსახურება — 5 219, კარდიოქირურგია — 366, მშობიარობის ხარჯები — 13 206 პირს აუნაზღაურდა, ქიმიური, სხივური და ჰორმონოთერაპია კი 2 928 დაუფინანსდა. შესაბამისად, პროგრამის წარუმატებლობაზე საუბარი ჩემთვის გაუგებარია. მონაცემების მიხედვით, სახელმწიფომ თვეში, საშუალოდ, 25 ათას ადამიანს სამედიცინო მომსახურება აუნაზღაურა, თანაც ეს მხოლოდ პროგრამის ერთი კომპონენტის მონაცემებია. არაფერს ვამბობ, ამბულატორიულ, სპეციალისტის კონსულტაციასა თუ ოჯახის ექიმის მომსახურებაზე.

— თუმცა საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ოჯახის ექიმის მომსახურება გახდა. მოქალაქეები ჩივიან, რომ რიგში დგომა რამდენიმე დღის განმავლობაში უწევთ.

— როგორც ჩანს, მოსახლეობას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა კერძო სადაზღვევო კომპანიებში ერევა, რადგან ჩვენი პროგრამის ფარგლებში ოჯახის ექიმთან რიგი, პრაქტიკულად, გამორიცხულია. საყოველთაო დაზღვევის მქონე პირები პოლიკლინიკას თავად ირჩევენ და მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში ორი თვის ვადაში სამედიცინო დაწესებულების გამოცვლის შესაძლებლობა აქვთ, კერძო სადაზღვევო კომპანიებს კი ამ მიმართულებით ფართო არჩევანი არ აქვთ და კონკრეტულ პოლიკლინიკებზე არიან მიბმულნი, რაც ხშირად რიგის მიზეზი ხდება. სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამა წარმატებით მუშაობს.

— როცა წარმატებაზე საუბრობთ, კონკრეტულ მაგალითებს დაგისახელებთ: მოქალაქეები ყვებიან, რომ პროგრამის ფარგლებში არათუ გეგმური, სასწრაფო სამედიცინო დახმარების დაფინანსებაზე უარი მიიღეს. თქვენ მსგავსი შემთხვევების შესახებ ინფორმაციას არ ფლობთ?

— როგორც ჩანს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში თავად კლინიკამ არ მოგვმართა. როგორც წესი, პაციენტის მიღების პროცესში კლინიკა ვალდებულია, შეტყობინებით მოგვმართოს, რის შემდეგაც ჩვენი მხრიდან პაციენტისთვის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება ხდება. ამ კონკრეტულ ფაქტს დაუყოვნებლივ შევისწავლით, მონიტორინგის ჯგუფი კლინიკას ეწვევა და თუ დარღვევა დაფიქსირდა, სამედიცინო დაწესებულებას პაციენტისთვის გადახდილი თანხის სამმაგი ოდენობის დაბრუნება მოუწევს.

— კიდევ ერთ ფაქტზე მოგაწვდით ინფორმაციას, როცა სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერილ პაციენტს ორი კვირის დაგვიანებით შეატყობინეს, რომ დამატებით 800 ლარი ჰქონდა გადასახდელი. ამ შემთხვევაშიც კლინიკის ბრალეულობა იკვეთება?

— ამ შემთხვევაში, შესაძლოა, პაციენტს გეგმური ოპერაცია ჩაუტარდა, როცა სახელმწიფო თანხის მხოლოდ 70%-ს აფინანსებს. მოქალაქეებს ვთხოვ, მსგავსი გაურკვევლობის შემთხვევაში ჩვენს უწყებას დაუყოვნებლივ მიმართონ, რათა პრობლემები ეფექტურად აღმოვფხვრათ. ზოგადად, ჯანდაცვის სამინისტროში შემოსული 15 ათასი საჩივრიდან სახელმწიფო დაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებით პრეტენზია მხოლოდ 368 მოქალაქემ გამოთქვა. ეს საკმაოდ მცირე მაჩვენებელია, რაც საერთო საჩივრების 0,1%-ს შეადგენს. მერწმუნეთ, თითოეულ წერილს დეტალურად ვსწავლობთ და შემდგომ რეაგირებასაც ვახდენთ.

— ანუ სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის შეჩერებაზე საუბარი არ არის?

— რა თქმა უნდა, არა. მსგავსი საუბრები კულუარულადაც კი არ მიმდინარეობს, პირიქით, ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება გაეზარდა, ამიტომ სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა მოქალაქეებს მომავალშიც მოემსახურება.

— სახელმწიფო დაზღვევის ფარგლებში, პრობლემები ექმნებათ თავად კლინიკებსაც. როგორც კლინიკის ხელმძღვანელები აცხადებენ, ორი თვის განმავლობაში სამინისტროს ვებგვერდი გამორთული იყო, რის გამოც მათ ანგარიშგება ვერ მოახერხეს და დავალიანება დაგროვდა.

— მოგეხსენებათ, პროგრამა ელექტრონული სისტემით იმართება და გიდასტურებთ, რომ ამ მიმართულებით გარკვეული პრობლემები არსებობდა, რაც სწრაფადვე აღმოიფხვრა. ვებგვერდი ორი თვის განმავლობაში კი არა, მხოლოდ ერთი თვე გაჩერდა, რის გამოც კლინიკები ანგარიშგებას ზოგიერთ კომპონენტზე მართლაც ვერ აწარმოებდნენ, თუმცა ეს ხარვეზიც გამოსწორდა და გადარიცხვებს უკვე სრულად დავეწიეთ.

— მაშინ რატომ ჩივიან კლინიკის ხელმძღვანელები, რომ ექიმებს ხელფასებს თანხის ჩარიცხვის დაგვიანების გამო ვერ უხდიან?

— კლინიკები არასწორად იქცევიან, რადგან, როგორც გითხარით, მათ დავალიანება სრულად დავუფარეთ. ვებგვერდი 15 წუთით დღესაც გაითიშა, მაგრამ ეს პრობლემას არ ქმნის. მაშინ, როცა კომპიუტერულ პროგრამებს წლობით ტესტავენ, ჩვენ საცდელი პროგრამით გავედით და ხარვეზებს ეტაპობრივად ვასწორებთ. სხვათა შორის, კარგად ვიცი, რომ კერძო სადაზღვევო კომპანიები კლინიკებს თანხას 6-8 თვის დაგვიანებით ურიცხავენ, თუმცა რატომღაც ამის შესახებ ხმამაღლა არავინ საუბრობს. შესაძლოა, შიგნით კერძო კომპანიებს გარკვეული ტიპის პრობლემები მართლაც აქვთ, მაგრამ ეს ჩვენს დეპარტამენტთან კავშირში არ არის. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში კლინიკების უმრავლესობა კერძოა, ამიტომ თავად ექიმებმა უნდა გაარკვიონ ხელფასების დაგვიანების რეალური მიზეზები. ეს კერძო საკითხია, რომელიც მხოლოდ კლინიკის ხელმძღვანელობასა და მედპერსონალს შორის წყდება. უმრავლესობა ხელშეკრულებით მუშაობს, რაშიც ვერ ჩავერევით. ჩვენი დეპარტამენტი 24 საათის განმავლობაში ხარვეზების გამოსასწორებლად მუშაობს და ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ გარკვეული პრობლემების მიუხედავად, სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს. ვფიქრობ, ძირითადი პრობლემა ინფორმაციის ნაკლებობაშია.

ქართველი მეცნიერის აღმოჩენა, რომელიც მოსავალს აორმაგებს!

ახლა გამოჩნდება, სოფლის მეურნეობა მართლა პრიორიტეტს წარმოადგენს, თუ მასზე საკაშვილივით ზრუნავენ

დავით დევიძე
593-219-042

კომუნისტების მმართველობის ბოლო წლებში, მაშინდელ პრესაში გამოჩნდა საინტერესო ცნობები ქართველი მეცნიერების მიერ სოფლის მეურნეობის სფეროში გაკეთებული აღმოჩენის შესახებ. ამ ცნობების თანახმად, მიაგნეს მეთოდს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდებოდა მოსავლიანობის გაორმაგება. მცხეთის საცდელ მეურნეობაში ჩატარებულმა ცდებმა ეს აღმოჩენა მაშინ ექსპერიმენტულადაც დაადასტურა, თუმცა მეთოდის დანერგვა წარმოებაში ვეღარ მოხერხდა, რადგან საბჭოთა კავშირმა რღვევა დაიწყო და გამოგონებებისთვის აღარავის ეცალა. შემდეგ ზვიად გამსახურდია შეეცადა, ეს გამოგონება ქართულ სავიზიტო ბარათად ექცია, მაგრამ არც მის ხელისუფლებას ეყო საამისოდ დრო, შევარდნაძისა და სააკაშვილის ჩინოვნიკებს კი აღარც ქართველი მეცნიერები აინტერესებდათ და აღარც მათი აღმოჩენები. მოკლედ, ამ რამდენიმე დღის წინ, რედაქციაში უცნობმა დაგვირეკა და შეხვედრა გვთხოვა. 85 წლის მეცნიერს შეხვედრაზე უარს როგორ ვეტყოდი, მით უმეტეს, მითხრა — ნიკო კეცხოველის მოსწავლე და თანაგუნდელი ვარო. ასე შევხვდი ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ ნოდარ ცანავას, რომლის ნაამბობი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩინოვნიკებს აუცილებლად დააინტერესებს.

— აღმოჩენა ეხება სიმბიოზს მცენარეთა შორის. მოგეხსენებათ, სიმბიოზი ნიშნავს სხვადასხვა სახეობის ორი ორგანიზმის თანაცხოვრებას, რაც სასარგებლოა თითოეული მათგანისათვის. ჩემს შემთხვევაში, ეს არის სიმბიოზი უმაღლეს მცენარესა და სოკოს შორის. სოკოს ეწოდება მიკორიზა, როცა იგი სიმბიოზში შედის ანუ თანაცხოვრებას იწყებს მცენარესთან, ეს მცენარე დამატებით იღებს იმ მინერალურ ნივთიერებებს, რომლითაც სოკო იკვებება. მოკლედ რომ გითხრათ, გრუნტის წყლების საშუალებით ვიპოვე ჩანთიანი სოკო. სოკოსა და უმაღლესი მცენარის თანაცხოვრებას ასეულობით წელია იცნობს მეცნიერება, მაგრამ პრაქტიკაში მისი გამოყენება ძალიან რთულია, რადგან ამას სჭირდება სოკოს დიდი რაოდენობა, რაც პრაქტიკაში ძნელი განსახორციელებელია. ჩემს მიერ აღმოჩენილ ჩანთოსან სოკოს კი ჩანთაში გააჩნია მილიარდობით და ტრილიონობით სპორა. შესაბამისად, ერთი ასეთი სპორა რომ დავასახლოთ ერთ მცენარეზე, არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს.

— პრაქტიკაში რას გვაძლევს ეს აღმოჩენა?

— ეს გახლავთ პოლიფაგი სოკო, რომელიც ყველა მცენარეზე, უფრო ზუსტად, მის ფესვებზე სახლდება. მაგალითად, დავასახლეთ პომიდორზე. მისი მოსავალი მნიშვნელოვნად იზრდება, რადგან სოკო თავის მიერ დაშლილ მინერალურ ნივთიერებებს აწვდის მცენარეს, რაც მისი ნაყოფიერების გაზრდას უწყობს ხელს. თან ეს იოლი გასაკეთებელია. ნერგებს ვაწყობთ სპოროვან სუსპენზიაში, მერე კი გადავრგავთ ნიადაგში. ეს არის მთელი ფილოსოფია. ძალიან ადვილია საწარმოებლად. სოკოს სპორები კი ბევრი გვაქვს და მისი წარმოება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

— რამდენად ზრდის მოსავალს. ვთქვათ, ერთი ძირი პომიდორი გვაძლევს 4 კილოგრამ ნაყოფს, რამდენს მოგვცემს ასეთი წესით დარგული მცენარე?

— 7-8 კილოგრამს, ფაქტობრივად, ვაორმაგებთ მოსავალს და ეს იცით, რას ნიშნავს? მსოფლიოში 7 მილიარდამდე ადამიანი ცხოვრობს, რის გამოც სურსათის პრობლემა არსებობს და ამ პრობლემას მოვხსნით. საქართველო სოფლის მეურნეობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით მთელ მსოფლიოს მოამარაგებს. ახლა იცით რა არის? უკვე 85 წლის ვარ, მეუღლე, ვისთან ერთადაც ვმუშაობდი ამ პროექტზე, უკვე გარდამეცვალა. მინდა მოვასწრო და ეს აღმოჩენა დავუტოვო ქვეყანას, სხვა არაფერი მაინტერესებს. წარმოგიდგენიათ, რა ხდება? სოფლის მეურნეობის პროდუქცია: ყურძენი, სიმინდი, ლობიო, კიტრი პომიდორი და კიდევ უამრავი რამ, ორმაგდება უმნიშვნელო დანახარჯების წყალობით.

— ეს აღმოჩენა დაპატენტებული გაქვთ?

— არ არის დაპატენტებული და არც მაქვს ეს მიზანი იმის მიუხედავად, რომ ნობელის პრემიაზე წარსადგენი აღმოჩენაა. წერილს თუ გამოაქვეყნებთ, ალბათ, ამის შემდეგ საერთოდ არც დააპატენტებენ. უბრალოდ, ვშიშობ, მოულოდნელად არ მოვკვდე და ეს აღმოჩენა ჰაერში არ დარჩეს. მოხუცი ვარ, მაგრამ მაინც შემიძლია 100 ადამიანი ავიყვანო და სპეციალისტები გავზარდო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ასობით წელი გავიდეს და იგივე აღმოჩენა ვეღარავინ გააკეთოს მიუხედავად იმისა, თითქოსდა ძალიან მარტივია.

— ეს მეთოდი პრაქტიკაში გამოცდილია?

— როგორ არა, აი, გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, სადაც გამოქვეყნებულია სწორედ ეს ინფორმაცია: მცხეთის სანერგე საბჭოთა მეურნეობაში ჩატარდა კვლევები. ბრიგადამ, ვენახის ნამყენი ნერგის მოსავლიანობის გაზრდის მიზნით, პირველად საქართველოში გამოიყენა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ნოდარ ცანავას მეთოდი — კალმების ხელოვნური მიკორიზაცია. ამ მიზნით 1985 წელს მცირე მონაკვეთზე მოეწყო ცდა — შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საცდელ ნაკვეთზე ნაყოფის რაოდენობა 108%-ით გაიზარდა. ასევე 100%-ზე მეტი მაჩვენებლით გაიზარდა მოსავალი სიმინდზე, გოგრაზე, პომიდორსა და ლობიოზე... არ მინდა, ეს სიკეთე დაეკარგოს ქვეყანას, კარგი იქნება, თუ ვინმე დაინტერესდება.

რა დაავადებებს იწვევს გენმოდიფიცირებული პროდუქტი და ვინ შოულობს მილიონებს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარჯზე?

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

მსოფლიო ქვეყნების მეცნიერები დღემდე დავობენ, უქმნის თუ არა საფრთხეს გენმოდიფიცირებული პროდუქტის მიღება ადამიანის ჯანმრთელობას. ამგვარი პროდუქტი ბაზარზე 13 წლის წინ გამოჩნდა, მაგრამ დღემდე ძნელია განისაზღვროს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, როგორია მათი მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგი კი ასეთია: მომატებული ალერგიული ფონი, იმუნიტეტის რღვევა, გამრავლების ფუნქციის დაკარგვა, ახალშობილთა სიკვდილიანობა, ინსულინის დონის პრობლემები. ამ შედეგებზე დაყრდნობით, AAEM American Academy of Environmental Medicine ურჩევს ექიმებს, არ გამოიყენონ გენმოდიფიცირებული ორგანიზმები (გმო). აკადემიამ გამოაქვეყნა დოკუმენტი, სადაც ამტკიცებს, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი მავნეა ჯანმრთელობისთვის და მოუწოდებს მოსახლეობას, თავი შეიკავოს მათი მოხმარებისგან. მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული გენმოდიფიცირებული პროდუქტია: სოიო, სიმინდი, რაფსი, პომიდორი, კარტოფილი, შაქრის ლერწამი... კანონი გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ პარლამენტს საშემოდგომო სესიაზე უნდა განეხილა. შედეგად, გენმოდიფიცირებული თესლისა თუ ნერგების საქართველოში შემოტანა აიკრძალებოდა და პროდუქტების მარკირება სავალდებულო გახდებოდა. მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ გმო-ს შესახებ კანონის მიღება მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ქართული სოფლის მეურნეობის ენდემური ჯიშების გადასარჩენად აუცილებელია.

ხელისუფლება გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ კანონის მიღებას აჭიანურებს!

— კანონპროექტი გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ უკვე 7-8 თვეა მზადაა. საკანონმდებლო ორგანოში დასამტკიცებლად, გარემოს დაცვის სამინისტროს უნდა შეეტანა, მაგრამ ამ დრომდე არ შემოუტანია. საკმაოდ რთული, მაგრამ კარგი კანონპროექტია, მთავარი არსი კი ის გახლავთ, რომ გვინდა, საქართველო გამოვაცხადოთ გენმოდიფიცირებული პროდუქციისგან თავისუფალ ქვეყნად — აიკრძალება გენმოდიფიცირებული თესლის, ნერგების... შემოტანა.

— გენმოდიფიცირებული თესლისა და ნერგების შემოტანის აკრძალვა აუცილებელი რატომაა?

— ეს საქართველოს მისცემს შანსს, მის მიერ წარმოებული პროდუქცია გავიდეს ევროკავშირისა და სხვა ბაზარზე.

რამდენიმე კვირის წინ, რუსეთშიც შეიქმნა სპეციალური სამსახური, რომელმაც უნდა შეზღუდოს რუსეთის ტერიტორიაზე გენმოდიფიცირებული პროდუქტის შეტანა. ამ ფონზე, თუ საქართველოში არ აიკრძალა ამგვარი თესლისა და ნერგების შემოტანა, მისგან მიღებული პროდუქციის გატანას სად აპირებენ, არ ვიცი — ევროკავშირში პრობლემები იქმნება, რუსეთშიც... ვიღაცამ რაღაცაზე ხომ უნდა იფიქროს ამ ქვეყანაში?

თან, საინტერესო ისაა, რომ პარალელურად, მთავრობამ, რამდენიმე თვის წინ, მიიღო ძალიან კარგი დადგენილება, ბიოლოგიური აგროწარმოების შესახებ.

— კონკრეტულად, რა მოთხოვნებს უწესებს ეს დადგენილება მწარმოებლებს და რატომ არ მიეცა მას კანონპროექტის სახე?

— რა თქმა უნდა, კანონპროექტის სახე უნდა მიეღო და პარლამენტს დაემტკიცებინა. საბოლოოდ, დადგენილების სახით, მთავრობამ ალბათ იმიტომ მიიღო, რომ მერე იოლად შეცვალონ — კანონის შეცვლა უფრო რთულია. დოკუმენტი მთელ რიგ პროცედურებს არეგულირებს, როგორ უნდა აწარმოოს ქვეყანამ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ბიომეურნეობებში. ამ დადგენილების თანახმად, მომავალი წლიდან ვერავინ დაარქმევს თავის პროდუქტს „ეკოლოგიურს“, ან „ეკოლოგიურად სუფთას“, თუ წარმოება განსაზღვრულ პროცედურებს არ დაექვემდებარა და პროდუქტმა შესაბამისი მკაცრი კონტროლი არ გაიარა.

— ეს დადგენილება, გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ კანონის არმიღებასთან წინააღმდეგობაში არ მოდის?

— დიახ. ვერ წარმომიდგენია, საქართველოში გენმოდიფიცირებული პროდუქტი თუ არ აიკრძალა, როგორ უნდა აწარმოოს ქვეყანამ ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტი — კახეთში რომ დათესავ გენმოდიფიცირებულ მცენარეს, ქარმა შეიძლება მისი მტვერი ათეულ კილომეტრზე გადაიტანოს, დამტვერვა მოხდეს და ეკოლოგიურად სუფთა მცენარეც დააბინძუროს. კომპლექსური მიდგომაა აუცილებელი და ამას რატომ არ აკეთებენ, არ მესმის.

— ქვეყანაში გენმოდიფიცირებული თესლისა და ნერგების შემოტანის აკრძალვა, პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი ინიციატივა იყო. ამ ფონზე, გაუგებარია, მთავრობა პარლამენტში განსახილველად შესაბამისი კანონპროექტის შეტანას რატომ აჭიანურებს. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ? პირად საუბრებში მაინც, რით ხსნიან ამ ფაქტს?

— ზოგადად, ამ კუთხით, საკანონმდებლო თვალსაზრისით, პრობლემა წლების წინ შეიქმნა. შესაბამის კანონპროექტს თავის ისტორია აქვს. გენმოდიფიცირებული პროდუქტის აკრძალვისთვის ბრძოლა მწვანეთა პარტიამ ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო. მაშინ ქართულმა საზოგადოებამ ამ ტერმინის მნიშვნელობაც არ იცოდა. ჩვენი პარტია მაშინდელი მოწვევის პარლამენტში იყო წარმოდგენილი. ერთ დღეს, ცნობილმა ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაცია „გრინფისმა“ მოგვწერა საიდუმლო წერილი და შეგვატყობინა, რომ უზარმაზარმა ტრანსნაციონალურმა კორპორაცია „მონსანტომ“ საქართველოში კარტოფილის რამდენიმე ათეული ტონა გენმოდიფიცირებული თესლი შემოიტანა. გადავამოწმეთ ინფორმაცია და მართალი აღმოჩნდა. გენმოდიფიცირებული კარტოფილის დათესვას სამცხე-ჯავახეთში აპირებდნენ. მათ წინააღმდეგობა გავუწიეთ და ეს კომპანია, პრაქტიკულად, ქვეყნიდან გავაგდეთ. ასეთი რამ მაშინ „მონსანტოს“ ისტორიაში, მგონი, პირველად მოხდა. ძალიან შეურაცხყოფილები დარჩნენ. ეს მაშინ იმიტომ მოვახერხეთ, რომ ხელისუფლებამაც დაგვიჭირა მხარი. ამის შემდეგ, ასეთი ინფორმაცია აღარ მოსულა, მაგრამ ვარდების რევოლუციის შემდეგ ისევ გაიხსნა ბაზარი. დავიწყეთ ბრძოლა, რომ პარლამენტს მოეხდინა კარტახენას ოქმის რატიფიცირება, რომელსაც საქართველოც შეუერთდა, გახლავთ გაერო-ს დოკუმენტი, ბიომრავალფეროვნების კონვენციის ნაწილი და უშუალოდ ეხება გენმოდიფიცირებულ პროდუქციას. კარტახენას ოქმის შესაბამისად, საქართველო ვალდებულია, აკონტროლოს თავის ტერიტორიაზე გენმოდიფიცირებული პროდუქციის მიმოქცევა. 2006 წელს ეს ოქმი პარლამენტში შევიდა, კენჭი ვუყარეთ და ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა გაერო-ს დოკუმენტი პარლამენტში ჩავარდა. ამის მიზეზი იმპორტიორების დიდი ინტერესი გახლდათ. 2007 წელს მეორედ შეიტანეს დოკუმენტი, ბიუროზეც განიხილეს, მაგრამ ბიუროდან პარლამენტის სხდომამდე საკითხი დღის წესრიგიდან გაქრა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენი თხოვნით, პატრიარქი ჩაერია. მან ეპისტოლეშიც ისაუბრა ამ თემაზე და, როგორც იქნა, რატიფიცირება მოხდა. ამის შემდეგ, კანონპროექტი აუცილებლად უნდა დაგვემტკიცებინა. წინა ხელისუფლების პირობებში ეს არ მოხერხდა და ახლაც, რატომღაც არ შემოდის პარლამენტში განსახილველად.

მიზეზები გაინტერესებდათ და გაგიმხელთ, პირად საუბრებში ამბობენ, იმიტომ არ შემოგვაქვს კანონი, რომ არ არსებობს ლაბორატორიული სისტემა, რომელიც შეძლებს ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქტის გაკონტროლებასო. ანეკდოტური ვითარებაა — სინამდვილეში, ჩემი ინფორმაციით, ლაბორატორიული სისტემაც არსებობს და აკრედიტებული კერძო ლაბორატორიებიცაა ქვეყანაში, რომლებიც მხოლოდ იმიტომ არ აკონტროლებენ პროდუქტს, რომ კანონი არ ავალდებულებს ამას.

— ანუ დღესაც იმპორტიორების ინტერესის გამო ჭიანურდება გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ კანონის მიღება?

— ვერ გეტყვით, რეალური მიზეზი დასადგენია. ამ კანონის არმიღება ძალიან ცუდი იქნება. გამოვა, რომ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა სულაც არაა მიმართული საერთაშორისო ბაზრებისკენ და აგრარული სექტორი ვიღაცების ინტერესს ეწირება. აღარაფერს ვამბობ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე — აღნიშნული კანონი ქვეყანას იმასაც ავალდებულებს, რომ იმპორტირებულ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს შეფუთვაზე ეწეროს — გენმოდიფიცირებულია. მარკირება აუცილებელია, უფლება გვაქვს ვიცოდეთ, რას მივირთმევთ და რამდენად ვნებს ესა თუ ის საკვები ჩვენს ჯანმრთელობას.

— მეცნიერების ნაწილი ამტკიცებს, რომ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს მსოფლიოს ცნობილ ლაბორატორიებში ამოწმებენ და თუ ბაზარზე მოხვდა, ესე იგი, ჯანმრთელობისთვის უვნებელია.

— არ ვეთანხმები.

დამტკიცებულია, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი წვევს ალერგიულ დაავადებებს, აქვს გარკვეული ტოქსიკური თვისებებიც, ფრანგმა მეცნიერებმა კი, დაადგინეს, რომ ისინი ონკოლოგიური დაავადებების გამომწვევიცაა. კვლევები ჩატარდა — 3 წლის განმავლობაში, ვირთხების ერთ ჯგუფს ჯანსაღი პროდუქტით კვებავდნენ, მეორე ჯგუფს კი გენმოდიფიცირებულ ხორბალსა და სიმინდს აჭმევდნენ. მეორე ჯგუფში თითქმის ყველა ვირთხას კიბო დაემართა და ამგვარად დადგინდა, რომ ის ცოცხალ ორგანიზმში მუტაციასა და ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევს. გამოდის, გენმოდიფიცირებული პროდუქტი ერთის მხრივ, ჯანმრთელობისთვის უვარგისია, მეორეს მხრივ, ქვეყანას პრობლემებს უქმნის საერთაშორისო ბაზარზე, მესამეს მხრივ კი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის გადაგვარება-გადაშენების საფრთხეს ქმნის.

ამ ფონზე, შესაბამისი კანონი აუცილებლად უნდა მივიღოთ, თანაც რაც შეიძლება სწრაფად, რადგან დღეს საქართველოს ბაზარი არ კონტროლდება. გენმოდიფიცირებულ პროდუქტს კი, ერთი შეხედვით, სუნით ან გემოთი, ვერ განასხვავებთ ეკოლოგიურად სუფთასგან. ამას სპეციალური ლაბორატორიული კვლევა სჭირდება, ამიტომ მოვითხოვ, დაუყოვნებლივ შემოიტანოს მთავრობამ პარლამენტში კანონპროექტი „გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ“, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიფიქრებ, რომ ამ სფეროში ისევ ვიღაცების ინტერესი იკვეთება და ამას ეწირება საქართველოს აგრარული სექტორიცა და მოსახლეობის ჯანმრთელობაც.

ვერსიანიუსი

„ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახი კალაძე გახდება

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ გენერალური მდივნის თანამდებობაზე ენერგეტიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, კახი კალაძის კანდიდატურა განიხილება. ამის შესახებ ჟურნალისტებს დეპუტატმა გია ვოლსკიმ განუცხადა. მისი განმარტებით, კახი კალაძის კანდიდატურა ერთადერთია, რომელიც ამ დროისთვის გენერალური მდივნის თანამდებობაზე მოიაზრება.

„მის კანდიდატურას მხარს სიამოვნებით დავუჭერ, რადგან ამ საკითხისადმი პოზიტიურად ვარ განწყობილი“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

კახი კალაძე, პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობაზე დეპუტატ ირინა იმერლიშვილს ჩაანაცვლებს, რომელიც უახლოეს მომავალში უშიშროების საბჭოს მდივანი გახდება.

აღნიშნულ ცვლილებებს „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ 24 ნოემბერს დაგეგმილ ყრილობაზე დაამტკიცებს, ასევე ყრილობაზე აირჩევენ პარტიის თავმჯდომარეს და ამ პოსტს, სავარაუდოდ, ირაკლი ღარიბაშვილი დაიკავებს. ასევე 26-დან 12 კაცამდე შემცირდება პარტიის პოლიტსაბჭოს წევრთა რაოდენობა.

„ინტერპრესნიუსი“

„მართლმსაჯულების მუზეუმი" უზენაეს სასამართლოში

უზენაეს სასამართლოში ფუნქციონირება დაიწყო "მართლმსაჯულების მუზეუმმა". მუზეუმში ის ნივთები და ატრიბუტებია განთავსებული, რომელიც საქართველოში სამართლის განვითარებასთან ისტორიულადაა დაკავშირებული.

"მართლმსაჯულების მუზეუმი" ორი დარბაზისგან შედგება: საექსპონატო დარბაზში გამოფენილია ძველი ქართული სამართლის ძეგლები, ასევე განთავსებულია ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს ისტორიისა და იმ ცნობილი საზოგადო მოღვაწეების შესახებ, რომელთან დიდი წვლილი მიუძღვით ქართული სამართლის განვითარებაში.

მუზეუმის მეორე ნაწილში პირვანდელი სახით შენარჩუნებულია ისტორიული "N 1 დარბაზი" , სადაც იმართებოდა გახმაურებული პროცესები, მათ შორის ე.წ. "თვითმფრინავის გამტაცებელთა", მხედრიონელთა და სხვათა საქმეები.

მუზეუმის დათვალიერება შესაძლებელია სამუშაო დღეებში, 14.00 საათიდან 17.00 საათამდე. დათვალიერების მსურველება წინასწარ უნდა გააგზავნონ შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით n.vasadze@court.ge

დაკმაყოფილებული სააპელაციო საჩივარი და გამამართლებელი განაჩენი

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ დააკმაყოფილა აპელანტ ლ.წ-ს საჩივარი, რის საფუძველზეც აპელანტ ლ.წ-ს შეუმცირდა თავისუფლების აღკვეთა 22 წლიდან 11 წლამდე.

საჩივარში დაცვის მხარემ მოითხოვა საქალაქო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა. კერძოდ, ადვოკატი ითხოვდა მსჯავრდებულ ლ. წ-ს გამართლებას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ა" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში - ვინაიდან მას აღნიშნული დანაშაულები არ ჩაუდენია. ასევე, მოთხოვნილი იყო განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნა საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად - სასჯელთა შთანთქმის ან ნაწილობრივი პრინციპის გათვალისწინებით.

მსჯავრდებული ლ.წ. ამჟამად პატიმრობაშია და სასჯელს იხდის, დანაშაულისათვის რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ბ" ქვეპუნქტით (ძარცვა: არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) ასევე სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ა" ქვეპუნქტით (ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად და არაერთგზის).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 თებერვლის განაჩენით ლ.წ-ს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის განმეორებითად ჩადენისათვის და საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 22 წლის ვადით.

აპელანტს სადავოდ არ გაუხდია ძარცვის ეპიზოდი და სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ ყაჩაღობის ნაწილში განაჩენის გადახედვის თხოვნით მიმართა.

სასამართლომ საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენი და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმდა მხარეთა მიერ შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, ანალიზი გაუკეთდა მათ, მოხდა მათი ერთმანეთთან შეჯერება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ წაყენებული ბრალდებები რამდენიმე ეპიზოდში ემყარება მხოლოდ ჩვენებებს და მათ მიერ ლ.წ-ს ამოცნობის ოქმებს, ხოლო მითითებული მტკიცებულებები კი ეფუძნება ინფორმაციის ერთადერთ წყაროს - დაზარალებულთა ჩვენებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ აპელანტის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და ლ.წ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ა" ქვეპუნქტით წაყენებულ ბრალდებებში უნდა გამართლდეს, ვინაიდან, საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში არ მოიპოვება ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების საკმარისი ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა ლ.წ-ს მიერ მითითებული დანაშაულების ჩადენის ფაქტს.

სასამართლოს განაჩენით ლ.წ. გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ა" ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ და ლ. წ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით, რითაც თითქმის განახევრდა სასჯელი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ კი, ბრალდებულ ოთარ მ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. მას ბრალად ედებოდა გაუპატიურების მცდელობა, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით.

ღია სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. სასამართლომ გაიზიარა განსასჯელის ჩვენება მისი უდანაშაულობის შესახებ, ვინაიდან, ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები, რაც შექმნიდა პირის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარის საფუძველს. სასამართლოს პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებები არ აკმაყოფილებდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს და არ იძლეოდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, რამდენადაც დაზარალებულისა და ბრალდებულის ჩვენებები ურთიერთშეუსაბამო იყო და ერთსა და იმავე შემთხვევას განსხვავებულად აღწერდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასებისას ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნია და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

პროექტს ახორციელებს "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

ჰოროსკოპი 20 ნოემბერი

ვერძი — დროის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვისი პრობლემების მოსაგვარებლად დაგჭირდებათ, თუმცა შეძლებთ სამშვიდის შენარჩუნებას და ყველა ბარიერს ადვილად გადალახავთ, თანაც დრო საკუთარი პროექტის რეალიზებისთვისაც დაგრჩებათ.

კურო — დღე ისე დაგეგმეთ, სასარგებლო საქმე სასიამოვნოს ენაცვლებოდეს, მხოლოდ ასე მოასწრებთ ყველაფერს ისე, რომ კარგ განწყობასაც შეინარჩუნებთ. რომანტიკულ პაემანს კი სჯობს, თავი საარიდოთ და მხოლოდ ოჯახის წევრების კამპანიით შემოიფარგლოთ.

ტყუპები — შექმნილი პრობლემები ადვილად მოგვარდება,ა თუკი საკუთარ შესაძლებლობებს რეალურად შეაფასებთ და ისეთ საკითხის გადაწყვეტას არ ითავებთ, რისი მოგვარებაც თქვენს ძალებს აღემატება.

კირჩხიბი — მოულოდნელად კარგ ამბავს შეიტყობთ, რაც პოზიტიურ განწყობაზე დაგაყენებთ. საქმიანი შეხვედრაც გეგმის მიხედვით ჩაივლის, წარმატებაც გარანტირებული გექნებათ, თუ ხელიდან არ გაუშვებთ შანსს და საკუთარ თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ.

ლომი — დღე დასვენებას დაუთმეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაგიჭირდებათ არსებულ პრობლემებთან გამკლავება. ვარსკვლავები გირჩევენ, არ დაგეგმოთ შორეული მოგზაურობა, სამაგიეროდ ახლობელი ადამიანისგან მიღებული ბიზნესწინადადება უდავოდ დაგინტერესებთ.

ქალწული — ბევრის მიღწევა გსურთ, მაგრამ სწრაფად, სასიცოცხლო პოტენციალი კი მეტად დაბალია. ეცადეთ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოთ, რადგან გარშემომყოფები კეთილგანწყობილნი არ არიან თქვენს მიმართ და მხოლოდ იმას ელოდებიან, როგორმე შეცდომა დაუშვათ.

სასწორი — წარმატების საიდუმლო სიმშვიდეშია, მაგრამ სამწუხაროდ, ემოციებს ეოველთვის ვერ უმკლავდებით და მოთმინებაც არ გეყოფნთ. ეცადეთ ეურადღება არ მოადუნოთ და მეტი სიფრთხილე გამოიჩინოთ, დღის მეორე ნახევარში კი შეგიძლიათ განიტვირთოთ და დრო მეგობრების გარემოცვაში გაატაროთ.

ღრიანცალი — საქმიად მშვიდი დღეა, მოულოდნელი არაფერი ხდება და არც მღელვარების მიზეზი გაქვთ. კარგად ჩაივლის საქმიანი შეხვედრა, ახლობლებთან ურთიერთობებიც ჩვეულ კალაპოტს უბრუნდება.

მშვილდოსანი — რაც ნაკლებად გამოავლენთ ემოციებს, მით უკეთ ჩაივლის დღე. გაითვალისწინეთ, რომ ცდუნება ბევრი იქნება, რადგან ვარსკვლავები სიმტკიცეზე გამოცდას გიწყობენ. მზად ხართ, ძალები არ დაიშუროთ, რათა ახლობლებს კომფორტული ატმოსფერო შეუქმნათ.

თხის რქა — გეგმების განხორციელებაში ხელს ვერაფერი გიშლით, ხშირად სარისკო გადაწყვეტილებებსაც იღებთ და სასურველს აღწევთ. სტაბილურდება ემოციური ფონი და ამიტომ, სადამოს თამამად შეგიძლიათ თავს მეგობრებთან განტვირთვის საშუალება მისცეთ.

მერწყული — წარმატებული დღეა და უამრავ პრობლემასაც მოაგვარებთ, სამაგიეროდ, პირად ცხოვრებაში ცოტა რთულადაა საქმე — ენდეთ საკუთარ ინტუიციას და ვითარების გაკონტროლებას ადვილად შეძლებთ.

თევზები — ნეიტრალური, მშვიდი დღეა. ხელს არაფერი გიშლით გეგმების განხორციელებაში. თანმიმდევრულად და ჭკვიანურად მოქმედებთ, ისე, რომ ბევრად გამოცდილ, ძლიერ კონკურენტებსაც ჯობნით. საუკეთესო პერიოდია მომავალზე ფიქრისთვის.

ჩინოვნიკებს ახალგაზრდა მდივნების დაქირავება აუკრძალეს

ინდონეზიის პროვინცია გორონტალოში, რომელიც კუნძულ სულავესზე მდებარეობს, ჩინოვნიკებს ახალგაზრდა თანაშემწე ქალების სამსახურიდან გათავისუფლება დაავალეს, ხოლო პირადი მდივნის ვაკანსიაზე კანდიდატურის შერჩევისას, მათ უპირატესობა მამაკაცებს ან ასაკოვან ქალბატონებს უნდა მიანიჭონ. ასეთი საკადრო პოლიტიკის გატარების განკარგულება პროვინციის გუბერნატორმა გამოსცა, მიზეზად კი ბანალური არგუმენტი დასახელდა — ჩინოვნიკები ახალგაზრდა მდივნებზე უფრო მეტად ზრუნავენ, ვიდრე მეუღლეებზე და მათთვის ძვირფასი საჩუქრები ჩამოაქვთ მივლინებიდანო... გუბერნატორის თქმით, განკარგულებას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და არ აპირებს მათ დასჯას, ვინც ახალგაზრდა მომხიბვლელ მდივნებს არ გაათავისუფლებს, თუმცა აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ მის ნათქვამს ყველა გაითვალისწინებს.

ნიორი ფილტვის კიბოსგან იცავს

ნიორი სპეციფიკური ბოსტნეულია, მაგრამ მის სასარგებლო თვისებებზე არავინ დავობს, ცოტა ხნის წინ კი სამხრეთ ავსტრალიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა იმის მტკიცებულებაც მიიღეს, რომ ნივრის მოხმარება ადამიანში ფილტვის კიბოს განვითარების რისკს 44%-ით ამცირებს, განსაკუთრებით მწეველებში. ამ ოპტიმისტური დასკვნის ავტორთა მოსაზრებით, თანამედროვე მსოფლიოში ეს დაავადება ყველაზე ხშირად მწეველებს ემართებათ, რაც ლეტალური შედეგით სრულდება. ავსტრალიელი სწავლულების აზრით, ნიორი შესანიშნავი პროფილაქტიკური საშუალებაა და ორგანიზმს არა მხოლოდ ფილტვის კიბოს, არამედ ნაწლავური დაავადებისგანაც იცავს. კონკრეტული მონაცემების მისაღებად სპეციალისტებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომელშიც 4,5 ათასი ჯანმრთელი და 1,5 ათასი დაავადებული ადამიანი მონაწილეობდა. შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ნივრის ყოველდღიური მოხმარება სასიკეთოდ აისახებოდა როგორც ჯანმრთელ, ასევე ავადმყოფ მოხალისეებზეც. მკვლევართა განცხადებით, მიზეზი ნიორში არსებული ნივთიერება ალიცინია, რომელიც ორგანიზმზე ანთების საწინააღმდეგო გავლენას ახდენს და ანტიოქსიდანტის თვისებებიც აქვს. შედეგად ნიორი უჯრედებს თავისუფალი რადიკალების მავნე ზეგავლენისგანაც იცავს. მეცნიერებმა, ჯერჯერობით, ვერ დაადგინეს, თერმულად დამუშავებული ნიორიც ასეთივე სასარგებლოა თუ არა.

საწოვარა წნევას დაარეგულირებს

მეცნიერებმა ახალი მოწყობილობა შექმნეს, რომელიც ბავშვის საწოვარას ჰგავს, თუმცა მისი საშუალებით ზრდასრული ადამიანები თავბრუსხვევას გაუმკლავდებიან. როგორც ბრიტანული მედია წერს, თავბრუსხვევის პირველივე ნიშნებისას საწოვარა პირში უნდა ჩაიდოთ და შედეგად ტვინში სისხლის მიმოქცევა გაუმჯობესდება. ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ „საწოვარა“ 50%-ით არეგულირებს არტერიულ წნევას და უკუჩვენებას არ იწვევს.

ჰოროსკოპი 21 ნოემბერი

ვერძი — სიფრთხილე გმართებთ. შესაძლოა, წარსულში დაშვებული შეცდომა გამომჟღავნდეს და ამას დიდი სკანდალი მოჰყვეს. დიდია კონფლიქტის ალბათობა. თუ მოთმინებას გამოიჩენთ, შეძლებთ უსიამოვნების თავიდან აცილებას. დღის მეორე ნახევარი უფრო პოზიტიური იქნება, თუმცა სჯობს, დრო ოჯახურ წრეში გაატაროთ.

კურო — დროა, არსებული პრობლემები ცოტა ხნით გვერდზე გადადოთ და განიტვირთოთ. შეეხმიანეთ დიდი ხნის უნახავ მეგობრებს და მათთან ერთად წვეულებაზე წადით, ეს დროებით მაინც დაგავიწყებთ ეოველდღიურ რუტინას.

ტყუპები — სასიამოვნო სიურპრიზი და მოულოდნელი შეხვედრა გელით. ეცადეთ, ხელიდან არ გაუშვათ არც ერთ შანსი, რასაც კი ცხოვრება შემოგთავაზებთ. ნაკლებად ენდეთ ახლგაცნობილ ადამიანებს და კრიტიკულ ვითარებაში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ.

კირჩხიბი — მიხვდებით, რომ ყველაფერი, რასაც აქამდე აკეთებდით, ძალიან მოგბეზრდათ. კარგად დაფიქრდით სამომავლო გეგმებზე და მხოლოდ ასე იმოქმედეთ. გაითვალისწინეთ, რომ ვარსკვლავები არ გირჩევენ რადიკალური ცვლილებების განხორციელებას.

ლომი — შეეცადეთ, დრო სასიამოვნო ატმოსფეროში გაატაროთ. მეგობრებთან ერთად გასართობად წადით, დიდია ძვირფასი საჩუქრის მიღების ალბათობა. ერიდეთ იურიდიული დოკუმენტებისა და ხელშეკრულებების გაფორმებას, რადგან დიდი შანსია, რომ თქვენს მოტყუებას შეეცდებიან.

ქალწული — ყველა საქმის გადადება მოგიწევთ, რადგან პირად ურთიერთობებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ. სჯობს, დღე საყვარელ ადამიანს დაუთმოთ, სადამოს კი დადებითი ემოციები არ მოგაკლდებათ.

სასწორი — თავი შეიკავეთ ურთიერთობების გარკვევისგან, შეეცადეთ, კოლეგებთან ან ახლობლებთან კონფლიქტი დასაწყისშივე მოაგვაროთ, თუნდაც ამაში სხვისი დახმარება დაგჭირდეთ. შესაძლოა შეხვედრა ადამიანთან, ვინც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ დიდია ფულის დაკარგვის რისკი.

ღრიანცალი — გირჩევთ, გამბედაობა მოიკრიბოთ, რადგან შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებები როგორც პროფესიულ, ასევე პირად ცხოვრებაში. ცოტა მოთმინებასაც თუ გამოიჩენთ, შეიძლება დიდი ფულადი მოგებაც მიიღოთ. ყველაფერში თამამი იყავით, რადგან რიდი მხოლოდ ზიანს მოგიტანთ.

მშვილდოსანი — ნუ იქნებით ზედმეტად მფლანგველი. ვიდრე რამეს შეიძენთ, ჯერ კარგად დაფიქრდით, გჭირდებათ თუ არა ესა თუ ის ნივთი. კარგი დღეა საქმიანი შეხვედრებისა და ხელსაყრელი კონტრაქტის გაფორმებისთვის. ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებსაც და საღამო მათთან ერთად გაატარეთ.

თხის რქა — წარმატება გელით ყველა წამოწყებაში — ნებისმიერ საქმეს ტრიუმფით დასრულებთ. დრო საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვასა და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობასაც დაუთმეთ. დღის ბოლოს შესაძლოა კონფლიქტი საყვარელ ადამიანთან.

მერწყული — შესაძლოა, ერთი შეხედვით, სარფიანი წინადადება შემოგთავაზონ, თუმცა გადაწყვეტილების მიღებას ნუ იჩქარებთ. რჩევისთვის მეგობრებსა და ახლობლებს მიმართეთ. ვარსკვლავები გირჩევენ, სიფრთხილე გამოიჩინოთ მანქანის მართვისას, რადგან დიდია ტრავმის მიღების რისკი.

თევზები — დღე ახლობელ ადამიანებთან გაატარეთ. გული ნუ დაგწყდებათ, თუ სმაურიან წვეულებაზე ვერ მოხვდებით. ამ გზით საფრთხის თავიდან აცილებაა შესაძლებელი. არ არის გამორიცხული ოჯახის წევრებისგან მოულოდნელად საჩუქარი მიიღოთ.

სუდოკუ ამოცანა

ადვილი

				3				
6				1	2			
	2		9			8		5
1							2	3
		5	4		1	9		
2	8							4
5		8			6		1	
			2	7				9
				5				

სტანდარტი

3			1					4
	7			5				
				2	9		3	1
	5	4						
	3			7			2	
						5	9	
9	4		8	6				
				1			6	
6					3			7

რთული

	5			8	7	6		
						1		
6			1		3	2		9
1						7		
			4		9			
		5						4
7		4	2		6			8
		2						
		8	3	7			6	

ექსპერტი

						1		3
	1	3			5		4	
				3	8	2		
	2					5		
5		9		1		4		7
		7					8	
		1	8	7				
	4		2			9	5	
6		2						

სიგარეტი ზურგის ტკივილს იწვევს

ამერიკის ქირურგიისა და ორთოპედიის აკადემიის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მწეველებს ხშირად აწუხებთ ქრონიკული ტკივილი ხერხემლის არეში — ეს ფაქტი 7 ათასზე მეტი პაციენტის გამოკვლევამ დაადასტურა. ზურგის ტკივილის ძირითად მიზეზად მედიკოსები ოსტეოქონდროზსა და ართროზს ასახელებენ. კვლევებისას მწეველები აღნიშნავდნენ, რომ ყველაზე ხშირად ზურგის არეში ტკივილებს უჩიოდნენ, ხოლო ვინც გამოკვლევისას სიგარეტს თავი დაანება, თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა. მკვლევარები კი ამ მოვლენას ახსნას ვერ უძებნიან და მოწევისთვის თავის დანებებას პირველ რიგში იმ ადამიანებს ურჩევენ, ვისაც ზურგის არეში ტრავმები ან ხერხემლის დაავადებები აწუხებს.

სისხლის ტრემლებით ტირის

ინდოეთში მცხოვრები 14 წლის გოგონა ტვინკლ დივედი უცნაური დაავადებით იტანჯება — ყოველდღე სისხლი სდის თვალებიდან, თუმცა მას არანაირი ჭრილობა არ აქვს. ყოველი ასეთი „სეანსი“ ერთ ლიტრამდე სისხლის დაკარგვით სრულდება, ამ დროს კი, მოზარდი ტკივილს არ გრძნობს და მხოლოდ დაღლილობა აწუხებს. გოგონას მუმბაიში მედიკოსებმა გამოკვლევები ჩაუტარეს, მაგრამ მის უჩვეულო დაავადებას ვერაფერი გაუგეს. პაციენტი ამერიკიდან ჩასულმა ცნობილმა ჰემატოლოგმაც მოინახულა, მაგრამ ისიც გაუგებრობაშია და აცხადებს, რომ მსგავსი რამ პირველად ნახა. ზოგი ფიქრობს, რომ გოგონა თავად იყენებს ზიანს, თუმცა ტვინკელი კატეგორიულად უარყოფს ამას. ამჟამად მოზარდი კლინიკაში, სპეციალისტების მუდმივი დაკვირვების ქვეშ იმყოფება.



მსოფლიო მოსახლეობის 4 პროცენტი დეპრესიით იტანჯება

მსოფლიოში დეპრესიის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ფიქსირდება. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრალიელი სწავლულები ქვინსლენდის უნივერსიტეტიდან, რომელთაც ჩვენს პლანეტაზე დეპრესიის გავრცელების რუკა შეადგინეს, კვლევისას კი გამოიყენეს ამ სენის გავრცელებისა და ხანგრძლიობის მონაცემები. მეცნიერთა აზრით, აღნიშნული დაავადება მეორე ადგილზეა მსოფლიოში და ადამიანის შრომისუნარიანობას მნიშვნელოვნად აქვეითებს. დეპრესია მსოფლიო მოსახლეობის 4%-ს აწუხებს, თუმცა სწავლულები ბევრად მაღალ მაჩვენებელს ვარაუდობენ, მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც სამედიცინო მომსახურებაზე ხელი ნაკლებად მიუწვდებათ, ზუსტი აღრიცხვა ვერ ხერხდება. კვლევა კი მაინც ასახავს რეალურ სურათს მსოფლიოში, რომელიც ასეთია: მოსახლეობის 5%-ზე მეტს სტანჯავს დეპრესია ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, აღმოსავლეთ ევროპასა და კარიბის ზღვის ქვეყნებში. დეპრესიის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი დაფიქსირდა აღმოსავლეთ აზიაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	7	1	4	9	3	8	2	6
6	2	9	8	1	7	5	4	3
8	4	3	5	2	6	1	9	7
7	5	6	3	8	2	4	1	9
1	3	4	9	7	5	6	8	2
9	8	2	6	4	1	3	7	5
4	1	5	7	6	9	2	3	8
3	9	8	2	5	4	7	6	1
2	6	7	1	3	8	9	5	4

სტანდარტი

6	1	8	7	9	2	5	4	3
7	5	4	3	8	1	2	9	6
3	2	9	6	4	5	1	8	7
1	8	7	2	6	4	3	5	9
5	9	3	1	7	8	6	2	4
4	6	2	5	3	9	8	7	1
9	7	1	8	5	6	4	3	2
8	3	6	4	2	7	9	1	5
2	4	5	9	1	3	7	6	8

რთული

9	7	4	6	1	2	8	5	3
5	6	3	4	9	8	2	1	7
2	1	8	7	5	3	6	9	4
4	2	5	3	8	1	7	6	9
3	9	7	5	6	4	1	2	8
6	8	1	2	7	9	3	4	5
1	5	2	8	4	7	9	3	6
8	3	6	9	2	5	4	7	1
7	4	9	1	3	6	5	8	2

ექსპერტი

3	8	7	6	5	2	1	9	4
9	5	6	4	1	3	8	7	2
4	2	1	7	9	8	3	6	5
8	9	5	2	3	7	6	4	1
2	1	4	8	6	9	7	5	3
6	7	3	5	4	1	9	2	8
1	6	8	9	2	5	4	3	7
7	4	2	3	8	6	5	1	9
5	3	9	1	7	4	2	8	6

მე-9 გვერდი: 1. მაგალითი; 2. ფხენიანი; 3. მეკვლე; 4. გასტროლი; 5. ლაბა; 6. ბესიკი; 7. ეპითალამა; 8. იდეალიზმი; 9. ნაია; 10. იდილი; 11. ამელია; 12. ანათემა; 13. იბერია; 14. „იდიოტი“; 15. სკრა; 16. არალი; 17. კედი; 18. ავლი; 19 აუზი; 20. დემონი; 21. ალე; 22. ნაზიბროლა; 23. მონა; 24. ლილითი; 25. ედელვაისი; 26. კუბა; 27. მარიტა; 28. უზი; 29. მეაცა; 30. ბაიადერა; 31. მალა; 32. აურა; 33. რეგისტრაცია; 34. ცაიტნოტი; 35. და; 36. ლეია; 37. ლიგა; 38. აუგი; 39. აბატისა; 40. ლია; 41. მარაო; 42. სიტე; 43. ვენა; 44. ალკკ; 45. ქადა; 46. ქილია; 47. რუისი; 48. კოკერი; 49. ირლანდია; 50. ტრიუმო; 51. რანიერი; 52. აია; 53. კარე; 54. აისი; 55. ოიტა; 56. ბოგოტა; 57. რალი; 58. რინა; 59. აფრიკა; 60. ბაია; 61. ჯინი; 62. ეფესო; 63. მაკაო; 64. ორლეანი; 65. აქცია; 66. წარამარა; 67. ბაცილა; 68. იასი; 69. ქონდარი; 70. იფანი; 71. ნიკოლო; 72. ნიუ; 73. კიუი; 74. ბენ; 75. ფხა; 76. ფსი; 77. მარინე; 78. დო; 79. დოლი; 80. ანა; 81. სამბო; 82. ლისი; 83. იაფი; 84. პანაგია; 85. სარი; 86. არნო; 87. სუი; 88. არსი.



ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოვლთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოვლთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგინიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.